# ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# დადგენილება №19
**2023 წლის 31 აგვისტო**

ქ. ონი

**,,ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

„ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №35 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 26/12/2022, სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.118.016359) შევიდეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი

**დანართი**

**თავი I**
**ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები**

**მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი**

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

*ათას ლარში*

| დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის ფაქტი | | | 2023 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | საკუთარი შემოსავლები |
| I. შემოსავლები | **20,367.9** | **18,721.4** | **10,911.3** | **7,810.1** | **15,400.2** | **6,593.7** | **8,806.5** |
| გადასახადები | **5,714.2** | **7,142.4** | 0.0 | 7,142.4 | **7,786.8** | 0.0 | 7,786.8 |
| გრანტები | **14,162.7** | **11,080.3** | 10,911.3 | 169.0 | **7,243.4** | 6,593.7 | 649.7 |
| სხვა შემოსავლები | **491.0** | **498.7** | 0.0 | 498.7 | **370.0** | 0.0 | 370.0 |
| II. ხარჯები | **4,272.2** | **6,341.5** | **491.6** | **5,849.8** | **8,035.5** | **632.4** | **7,403.1** |
| შრომის ანაზღაურება | **1,255.7** | **2,107.0** | 0.0 | 2,107.0 | **2,500.6** | 0.0 | 2,500.6 |
| საქონელი და მომსახურება | **1,543.4** | **2,513.9** | 431.7 | 2,082.2 | **2,946.0** | 565.0 | 2,381.0 |
| პროცენტი | **28.8** | **27.5** | 0.0 | 27.5 | **27.0** | 0.0 | 27.0 |
| სუბსიდიები | **901.1** | **1,196.2** | 0.0 | 1,196.2 | **1,838.0** | 0.0 | 1,838.0 |
| გრანტები | - | - | - | - | **25.0** | 0.0 | 25.0 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სოციალური უზრუნველყოფა | 148.2 | 271.2 | 53.0 | 218.2 | 270.5 | 60.8 | 209.7 |
| სხვა ხარჯები | 395.1 | 225.6 | 6.9 | 218.7 | 428.3 | 6.6 | 421.7 |
| III. საოპერაციო სალდო | 16,095.7 | 12,379.9 | 10,419.7 | 1,960.2 | 7,364.8 | 5,961.3 | 1,403.4 |
| IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება | 12,489.3 | 15,014.8 | 12,869.2 | 2,145.5 | 12,028.9 | 8,560.8 | 3,468.0 |
| ზრდა | 13,103.7 | 15,058.6 | 12,869.2 | 2,189.4 | 12,078.9 | 8,560.8 | 3,518.0 |
| კლება | 614.4 | 43.8 | 0.0 | 43.8 | 50.0 | 0.0 | 50.0 |
| V. მთლიანი სალდო | 3,606.4 | -2,634.9 | -2,449.6 | -185.3 | -4,664.1 | -2,599.5 | -2,064.6 |
| VI. ფინანსური აქტივების ცვლილება | 3,550.8 | -2,690.5 | -2,449.6 | -240.9 | -4,719.7 | -2,599.5 | -2,120.2 |
| ზრდა | 3,550.8 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 3,550.8 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| კლება | 0.0 | 2,690.5 | 2,449.6 | 240.9 | 4,719.7 | 2,599.5 | 2,120.2 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 0.0 | 2,690.5 | 2,449.6 | 240.9 | 4,719.7 | 2,599.5 | 2,120.2 |
| VII. ვალდებულებების ცვლილება | -55.6 | -55.6 | 0.0 | -55.6 | -55.6 | 0.0 | -55.6 |
| კლება | 55.6 | 55.6 | 0.0 | 55.6 | 55.6 | 0.0 | 55.6 |
| საშინაო | 55.6 | 55.6 | 0.0 | 55.6 | 55.6 | 0.0 | 55.6 |
| სესხები | 55.6 | 55.6 | 0.0 | 55.6 | 55.6 | 0.0 | 55.6 |
| VIII. ბალანსი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

## მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

*ათას ლარში*

| დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის ფაქტი | | | 2023 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსულობები | 20,982.3 | 18,765.2 | 10,911.3 | 7,853.9 | 15,450.2 | 6,593.7 | 8,856.5 |
| შემოსავლები | 20,367.9 | 18,721.4 | 10,911.3 | 7,810.1 | 15,400.2 | 6,593.7 | 8,806.5 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 614.4 | 43.8 | - | 43.8 | 50.0 | - | 50.0 |
| ვალდებულებების ზრდა | - | - | - | - | - | - | - |
| გადასახდელები | 17,431.5 | 21,455.7 | 13,360.9 | 8,094.8 | 20,169.9 | 9,193.2 | 10,976.7 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ხარჯები | 4,272.2 | 6,341.5 | 491.6 | 5,849.8 | 8,035.5 | 632.4 | 7,403.1 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 13,103.7 | 15,058.6 | 12,869.2 | 2,189.4 | 12,078.9 | 8,560.8 | 3,518.0 |
| ვალდებულებების კლება | 55.6 | 55.6 | - | 55.6 | 55.6 | - | 55.6 |
| **ნაშთის ცვლილება** | **3,550.8** | **- 2,690.5** | **- 2,449.6** | **- 240.9** | **- 4,719.7** | **- 2,599.5** | **- 2,120.2** |

## მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 15,400.2 ათასი ლარით:

*ათას ლარში*

| დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის ფაქტი | | | 2023 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | საკუთარი შემოსავლები |
| **შემოსავლები** | **20,367.9** | **18,721.4** | **10,911.3** | **7,810.1** | **15,400.2** | **6,593.7** | **8,806.5** |
| გადასახადები | 5,714.2 | 7,142.4 | 0.0 | 7,142.4 | 7,786.8 | 0.0 | 7,786.8 |
| გრანტები | 14,162.7 | 11,080.3 | 10,911.3 | 169.0 | 7,243.4 | 6,593.7 | 649.7 |
| სხვა შემოსავლები | 491.0 | 498.7 | 0.0 | 498.7 | 370.0 | 0.0 | 370.0 |

## მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 7,786.8 ათასი ლარით:

*ათას ლარში*

| დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის ფაქტი | | | 2023 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | საკუთარი შემოსავლები |
| **გადასახადები** | **5,714.2** | **7,142.4** | **0.0** | **7,142.4** | **7,786.8** | **0.0** | **7,786.8** |
| საშემოსავლო გადასახადი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| დამატებითი ღირებულების გადასახადი | 5,155.3 | 6,230.6 | 0.0 | 6,230.6 | 6,926.8 | 0.0 | 6,926.8 |
| ქონების გადასახადი | 558.9 | 911.8 | 0.0 | 911.8 | 860.0 | 0.0 | 860.0 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 512.8 | 848.5 | 0.0 | 848.5 | 845.0 | 0.0 | 845.0 |
| უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 0.2 | 0.1 | 0.0 | 0.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 12.1 | 18.8 | 0.0 | 18.8 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სასოფლო სამეურნეო ნიშნულების მიწაზე | 12.6 | 21.9 | 0.0 | 21.9 | 5.0 | 0.0 | 5.0 |
| არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 21.3 | 22.5 | 0.0 | 22.5 | 10.0 | 0.0 | 10.0 |

## მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 7,243.4 ათასი ლარით:

*ათას ლარში*

| დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის ფაქტი | | | 2023 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | საკუთარი შემოსავლები |
| **გრანტები** | **14,162.7** | **11,080.3** | **10,911.3** | **169.0** | **7,243.4** | **6,593.7** | **649.7** |
| საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები | 239.1 | 265.3 | 265.3 | | 417.9 | 398.2 | 19.7 |
| უცხო სახელმწიფოთა მთვრობებიდან მიღებული გრანტი | 0.0 | 49.0 | | 49.0 | 0.0 | | |
| გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან | 13,923.6 | 10,766.0 | 10,646.0 | 120.0 | 6,825.6 | 6,195.6 | 630.0 |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 237.2 | 381.7 | 261.7 | 120.0 | 421.6 | 171.6 | 250.0 |
| ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად | 0.0 | 125.6 | 125.6 | | 380.0 | | 380.0 |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი მათ შორის: | 13,686.4 | 10,258.8 | 10,258.8 | 0.0 | 6,023.9 | 6,023.9 | 0.0 |
| რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან | 12,640.7 | 9,158.3 | 9,158.3 | | 4,950.9 | 4,950.9 | |
| მაღალმთიანობის პროგრამა | 397.7 | 394.2 | 394.2 | | 425.0 | 425.0 | |
| მთავრობის სარეზერვო ფონდი | 0.0 | 58.2 | 58.2 | | 0.0 | | |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 648.0 | 648.0 | 648.0 | | 648.0 | 648.0 | |

## მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 370.0 ათასი ლარით:

*ათას ლარში*

| დასახელება | 2021 წლის | 2022 წლის ფაქტი | | 2023 წლის პროექტი | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | მათ შორის | | მათ შორის |

| | ფაქტი | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | საკუთარი შემოსავლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სხვა შემოსავლები** | **491.0** | **498.7** | **0.0** | **498.7** | **370.0** | **0.0** | **370.0** |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 236.3 | 335.5 | 0.0 | 335.5 | 270.0 | 0.0 | 270.0 |
| პროცენტები | 60.8 | 167.9 | | 167.9 | 100.0 | | 100.0 |
| დივიდენდები | 0.0 | 30.0 | | 30.0 | 0.0 | | |
| რენტა | 175.6 | 137.6 | | 137.6 | 170.0 | | 170.0 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 9.6 | 14.9 | 0.0 | 14.9 | 20.0 | 0.0 | 20.0 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 9.5 | 14.8 | | 14.8 | 20.0 | | 20.0 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 4.7 | 8.3 | | 8.3 | 10.0 | | 10.0 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 4.8 | 6.5 | | 6.5 | 10.0 | | 10.0 |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | 0.1 | 0.1 | | 0.1 | 0.0 | | |
| სანქციები (ჯარიმები და საურავები) | 64.0 | 22.7 | | 22.7 | 50.0 | | 50.0 |
| ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა | 181.1 | 125.6 | | 125.6 | 30.0 | | 30.0 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |

## მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 8,035.5 ათასი ლარით:

*ათას ლარში*

| დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის ფაქტი | | | 2023 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | საკუთარი შემოსავლები |
| **ხარჯები** | **4,272.2** | **6,341.5** | **491.6** | **5,849.8** | **8,035.5** | **632.4** | **7,403.1** |
| შრომის ანაზღაურება | 1,255.7 | 2,107.0 | 0.0 | 2,107.0 | 2,500.6 | 0.0 | 2,500.6 |
| საქონელი და მომსახურება | 1,543.4 | 2,513.9 | 431.7 | 2,082.2 | 2,946.0 | 565.0 | 2,381.0 |
| პროცენტები | 28.8 | 27.5 | 0.0 | 27.5 | 27.0 | 0.0 | 27.0 |
| სუბსიდიები | 901.1 | 1,196.2 | 0.0 | 1,196.2 | 1,838.0 | 0.0 | 1,838.0 |
| გრანტები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 25.0 | 0.0 | 25.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 148.2 | 271.2 | 53.0 | 218.2 | 270.5 | 60.8 | 209.7 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სხვა ხარჯები | 372.2 | 225.6 | 6.9 | 218.7 | 428.3 | 6.6 | 421.7 |

**მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 12,028.9 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა 12,078.9 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება 50.0 ათასი ლარით:

*ათას ლარში*

| პროგ. კოდი | არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხევით | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის პროექტი |
|---|---|---|---|---|
| **01 00** | **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები** | **4.4** | **14.8** | **48.8** |
| 01 01 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 4.4 | 14.8 | 48.8 |
| 01 02 | საერთო დანიშნულების ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **02 00** | **ინფრასტრუქტურის განვითარება** | **12,541.5** | **14,807.5** | **12,009.4** |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 2,759.0 | 5,574.1 | 3,196.7 |
| 02 02 | წყლის სისტემების განვითარება | 467.3 | 636.3 | 277.1 |
| 02 03 | გარე განათება | 1.0 | 4.4 | 50.6 |
| 02 04 | მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია | 186.9 | 1,151.4 | 1,552.9 |
| 02 05 | კეთილმოწყობის ღონისძიებები | 2,470.9 | 1,879.0 | 2,897.0 |
| 02 06 | საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა | 618.3 | 529.4 | 689.0 |
| 02 07 | სოფლის პროგრამის მხარდაჭერა | 651.3 | 750.4 | 748.0 |
| 02 08 | სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 5,167.5 | 4,132.6 | 2,102.4 |
| 02 09 | მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება | 219.4 | 150.0 | 490.8 |
| 02 10 | ეკონომიკური განვითარება ბიზნეს კალსტერების შექმნის და ინვესტიციების მოზიდვის გზით | 0.0 | 0.0 | 4.8 |
| **03 00** | **დასუფთავება და გარემოს დაცვა** | **0.0** | **25.0** | **9.9** |
| 03 01 | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | 0.0 | 25.0 | 9.9 |
| 03 02 | მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 03 | უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიებები | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **04 00** | **განათლება** | **508.0** | **186.5** | **0.0** |
| 04 01 | სკოლამდელი განათლება | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 04 02 | სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა | 442.4 | 91.9 | 0.0 |
| 04 03 | განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა | 65.6 | 94.6 | 0.0 |
| 04 04 | საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა | 0.0 | 0.0 | 0.0 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **05 00** | **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი** | **45.1** | **24.8** | **10.8** |
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 0.0 | 2.1 | 0.0 |
| 05 02 | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 45.1 | 22.7 | 7.4 |
| 05 03 | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 05 04 | მოსწავლე ახალგაზრდობის ღონისძიებების დაფინანსება | 0.0 | 0.0 | 3.4 |
| **06 00** | **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **4.7** | **0.0** | **0.0** |
| 06 01 | ჯანმრთელობის დაცვა | **4.7** | **0.0** | **0.0** |
| 06 02 | სოციალური უზრუნველყოფა | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | სულ არაფინანსური აქტივების ზრდა | 13,103.7 | 15,058.6 | 12,078.9 |

*ათას ლარში*

| დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| **არაფინანსური აქტივების კლება** | **614.4** | **43.8** | **50.0** |
| **ძირითადი აქტივები** | 1.3 | 34.7 | 0.0 |
| **მატერიალური მარაგები** | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **არაწარმოებული აქტივები** | 613.1 | 9.2 | 50.0 |
| მიწა | 613.1 | 9.2 | 50.0 |

## მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რეადაქციით:

*ათას ლარში*

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის პროექტი |
|---|---|---|---|---|
| 7.1 | **საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება** | **1,884.5** | **2,935.8** | **3,534.3** |
| 7.1.1 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 1,879.0 | 2,930.3 | 3,513.1 |
| 7.1.1.1 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 1,879.0 | 2,930.3 | 3,462.6 |
| 7.1.1.2 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 0.0 | 0.0 | 50.5 |
| 7.1.6 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 0.0 | 0.0 | 15.7 |
| 7.1.8 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში | 5.5 | 5.4 | 5.5 |
| **7.4** | **ეკონომიკური საქმიანობა** | **3,753.6** | **7,101.6** | **5,236.3** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| 7.4 5 | ტრანსპორტი | 2,878.3 | 5,905.9 | 3,518.6 |
| 7.4 5 1 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 2,878.3 | 5,905.9 | 3,518.6 |
| 7.4 7 | ეკონომიკის სხვა დარგები | 0.0 | 265.3 | 379.2 |
| 7.4 9 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში | 875.3 | 930.4 | 1,338.5 |
| **7.5** | **გარემოს დაცვა** | **5,678.1** | **4,749.8** | **2,917.6** |
| 7.5 1 | ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება | 348.3 | 525.0 | 675.2 |
| 7.5 2 | ჩამდინარე წყლების მართვა | 5,279.7 | 4,172.6 | 2,132.4 |
| 7.5 3 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში | 50.1 | 52.2 | 110.0 |
| 7.6 | **საბინაო კომუნალური მეურნეობა** | **4,173.6** | **4,581.8** | **6,030.1** |
| 7.6 1 | ბინათმშენებლობა | 344.0 | 1,199.6 | 1,584.8 |
| 7.6 2 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 3,090.7 | 2,421.5 | 3,642.8 |
| 7.6 3 | წყალმომარაგება | 488.9 | 689.8 | 432.0 |
| 7.6 4 | გარე განათება | 250.0 | 270.8 | 370.6 |
| 7.7 | **ჯანმრთელობის დაცვა** | **39.4** | **40.5** | **55.0** |
| 7.7 4 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 39.4 | 40.5 | 55.0 |
| 7.8 | **დასვენება, კულტურა და რელიგია** | **659.0** | **981.9** | **1,307.1** |
| 7.8 1 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 146.4 | 225.7 | 403.0 |
| 7.8 2 | მომსახურება კულტურის სფეროში | 492.6 | 743.3 | 804.1 |
| 7.8 4 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 20.0 | 13.0 | 100.0 |
| 7.9 | **განათლება** | **914.8** | **706.0** | **629.7** |
| 7.9 1 | სკოლამდელი აღზრდა | 734.5 | 443.2 | 450.0 |
| 7.9 2 | განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება | 180.4 | 262.8 | 171.7 |
| 7.9 2 3 | საშუალო ზოგადი განათლება | 180.4 | 262.8 | 171.7 |
| 7.9 8 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში | 0.0 | 0.0 | 8.0 |
| 7 10 | **სოციალური დაცვა** | **273.0** | **302.7** | **404.3** |
| 7 10 1 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა | 105.9 | 131.9 | 150.2 |
| 7 10 2 | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა | 3.2 | 2.1 | 4.3 |
| 7 10 3 | მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური  დაცვა | 4.9 | 4.1 | 8.0 |
| 7 10 4 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 48.2 | 87.5 | 98.8 |
| 7 10 9 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 110.8 | 77.2 | 143.0 |
| | | | | |

| | ს უ ლ | 17,375.9 | 21,400.1 | 20,114.3 |
|---|---|---|---|---|

**მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო**

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს -4,664.1 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 7,364.8 ათასი ლარით:

*ათას ლარში*

| დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| საოპერაციო სალდო | 16,095.7 | 12,379.9 | 7,364.8 |
| მთლიანი სალდო | 3,606.4 | -2,634.9 | -4,664.1 |

**მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს -4,719.7 ათასი ლარით:

*ათას ლარში*

| დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივების ცვლილება** | **3,550.8** | **-2,690.5** | **-4,719.7** |
| ზრდა | 3,550.8 | 0.0 | 0.0 |
| ვალუტა და დეპოზიტი | 3,550.8 | 0.0 | 0.0 |
| კლება | 0.0 | 2,690.5 | 4,719.7 |
| ვალუტა და დეპოზიტი | 0.0 | 2,690.5 | 4,719.7 |

**მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 55.6 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას, რომლის გადახდა დაიწყო 2019 წლის ოქტომბერში და დასრულდება 2026 წლის აპრილში. 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ონის მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებები ჯამში შეადგენდა 305.8 ათას ლარს, 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 250.2 ათას ლარს, 2023 წლის 1 იანვრისათვის იქნება 194.6 ათასი ლარი, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით 139.0 ათასი ლარი.

| დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| ვალდებულებების ცვლილება | **-55.6** | **-55.6** | **-55.6** |
| კლება | 55.6 | 55.6 | 55.6 |
| საშინაო | 55.6 | 55.6 | 55.6 |
| სესხები | 55.6 | 55.6 | 55.6 |

## თავი II
## ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

### მუხლი 13. პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების აღწერა

**1. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)**
ონის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 13,398.8 ათასი ლარით. დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

*ათას ლარში*

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | 2023 წლის პროექტი |
|---|---|---|
| 02 00 | **ინფრასტრუქტურის განვითარება** | **13,398.8** |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 3,518.6 |
| 02 01 01 | გზების კაპიტალური შეკეთება | 3,180.2 |
| 02 01 02 | გზების მიმდინარე შეკეთება | 329.4 |
| 02 01 03 | საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება | 9.0 |
| 02 02 | წყლის სისტემის განვითარება | 432.0 |
| 02 02 01 | წყლის სისტემების რეაბილიტაცია | 282.0 |
| 02 02 02 | ა(ა)იპ ონის მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრი | 150.0 |
| 02 03 | გარე განათება | 370.6 |
| 02 03 01 | გარე განათება ქსელის ექსპლოატაცია | 320.0 |
| 02 03 01 01 | გარე განათების ქსელის ექსლოატაცია | 80.0 |
| 02 03 01 02 | გარე განათება ელექტროენერგიის ხარჯი | 240.0 |
| 02 03 02 | კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში | 50.6 |
| 02 04 | მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია | 1,584.8 |
| 02 04 01 | საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია | 27.3 |
| 02 04 02 | მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია | 1,557.6 |
| 02 05 | კეთილმოწყობის ღონისძიებები | 2,899.2 |
| 02 05 01 | საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია | 2,899.2 |
| 02 06 | საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა | 743.5 |
| 02 07 | სოფლის პროგრამის მხარდაჭერა | 748.0 |
| 02 08 | სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 2,132.4 |

| | | |
|---|---|---|
| 02 09 | მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება | 590.5 |
| 02 10 | ეკონომიკური განვითარება ბიზნეს კალსტერების შექმნის და ინვესტიციების მოზიდვის გზით | 379.2 |

1.1. პროგრამის დასახელება საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)

**განმახორციელებელი**: **ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური**

**პროგრამის აღწერა და მიზანი**: მუნიციპალიტეტის პერსპექტიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მიმართულების მუდმივი სრულყოფა საგზაო ინფრასტრუქტურის სფეროში. კეთილმოწყობილი საგზაო ინფრასტუქტურა ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის გზებზე გადაადგილება იყოს უსაფრთხო და კომფორტული. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას, მუნიციპალიტეტში ახალი გზების მშენებლობას. პროგრამის დაფინანსება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით და ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრებით. ადგილობრივი ბიუჯეტის თანხები ასევე ხმარდება გზების კაპიტალური შეკეთების დაფინანსებასა და გზების მიმდინარე შეკეთებას. მიმდინარე პერიოდისათვის მუნიციპალური გზების 35% სრულად რეაბილიტირებულია, დარჩენილ ნაწილზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო ნაწილზე იგეგმება შესაბამისი სამუშაობის ჩატარება. სარეაბილიტაციო გზების შერჩევა და პრიორიტეტიზაცია ხორციელდება მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე მხედველობაში მიიღება სტიქიური მოვლენების შედეგების აღმოფხვრა და სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ორი ქვეპროგრამა:

- გზების კაპიტალური შეკეთება;

- გზების მიმდინარე შეკთება.

**პროგრამის მიზანია**: ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და ექსპლოატაციის გაზრდილი პერიოდი; მუნიციპალიტეტის გზებზე გადაადგილება იყოს უსაფრთხო და კომფორტული; მგზავრთა გადაადგილების შემცირებული დრო;

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგი**: მოწესრიგებული და განვითარებული საგზაო ინფრასტრუქტურა; გზების ექსპლოატაციის გაზრდილი პერიოდი.

1.1.1. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი გზების კაპიტალური შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 01)

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი**: **ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური**

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:** ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ონის მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. კერძოდ: დაგეგმილია შემდეგი პროექტების განხორციელება:

- სოფ. ლაგვანთა-საკაო-მაჟიეთი-ხიდეშლების მიმართულებით გზის ასფალტო-ბეტონით კაპიტარული რეაბილიტაცია;

- სოფ. სევის გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით;

- გომი-ჯინჭვისის გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით;

- სოფელ ლაჩთის გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით;

- სოფელ ლაგვანთაში გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით;

- სოფელ ფარახეთში გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით;

- სოფელ წოლაში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;

პროექტების დაფინანსება მოხდება რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და თანადაფინანსებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ქვეპროგრამით განისაზღვრა სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება:

- სოფელ ღარში სამი სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია;

- სოფელ ხეითში შიდა საუბნო სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია;

- სოფელ გლოლაში დაზიანებული ორი სახიდე გადასასვლელისა და შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამა ასევე ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის სოფლებში დაზიანებული გზების კაპიტალურ რეაბილიტაციას.
პროექტის დაფინანსება მოხდება რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და თანადაფინანსებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ამ პროგრამით გათვალისწინებულია წინა წლებში შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული საგარანტიო თანხები.

**ქვეპროგრამის მიზანია:** ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო ინფრასტრუქტურა იყოს მოწესრიგებული; მუნიციპალიტეტის სოფლებში მისასვლელ გზებზე მგზავრთა გადაადგილება იყოს დროული, უსაფრთხო და კომფორტული;

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული მწობრიდან გამოსული გრუნტის გზის კაპიტალური რეაბილიტაცია ასფალტით, ასფალტო-ბეტონითა და ცემენტ-რკინა ბეტონით, ასევე გრუნტის გზის მოხრეშვა-მოშანდაგება სანიაღვრე არხებით და კიუვეტებით;

### 1.1.2. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი გზების მიმდინარე შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 02)

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური**

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მიმდინარე და პრიოდულ შეკეთებას ქალაქის და სოფლის ზონების თოვლისაგან და მეწყრისაგან წმენდას და სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებს.

**ქვეპროგრამის მიზანია:** მოსახლეობა გადაადგილდეს კომფორტულად, უსაფრთხოდ და თავისუფლად სოფლის სრულ ტერიტორიაზე. გაიზარდოს სხვადასხვა პროგრამებით, სოციალური სერვისებით სარგებლობის ხარისხი და რაოდენობრივი მაჩვენებელი, რაც ცხოვრების ეკონომიკური დონის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** მოვლილი და მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა.

### 1.2. პროგრამის დასახელება წყლის სისტემების განვითარება (პროგრამული კოდი 02 02)

**განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური**

**პროგრამის აღწერა და მიზანი**: მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წყლის უწყვეტი მომარაგება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ფინანსდება წყლის სისტემების განვითარების პროგრამა, რომელიც მოიცავს როგორც წყალმომარაგების არსებული ქსელის მოვლა-შენახვის ღონისძიებებს, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახალი ქსელის მოწყობას. წყლის სისტემების განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან:

- წყლის სისტემის მშენებლობა რეაბილიტაცია;

- წყლის სისტემის ექსპლოატაცია;

**პროგრამის მიზანია:** მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებული ტერიტორია უზრუნველყოფილი იყოს გამართული წყლის სისტემით რათა მოსახლეობას მიეწოდოს ტექნიკურად სუფთა სასმელი წყლი, შეფერხების გარეშე.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგი**: მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში გამართული სასმელი წყლის სისტემა.

**1.2.1. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი წყლის სისტემების რეაბილიტაცია ( პროგრამული კოდი 02 02 01)**

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური**

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**: ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება ონის მუნიციპალიტეტის სოფელებში სასმელი წყლის სისტემების ცენტრალური მაგისტრალისა და შიდა სასოფლო ქსელის სრული რეაბილიტაცია, კერძოდ: დაგეგმილია სოფელ სამთისში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, რომლის დაფინანსებაც მოხდება ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში. ასევე ამ პროგრამით გათვალისწინებულია სოფელ გლოლაში სტიქიის შედეგად დაზიანებული წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები და წინა წლებში შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული საგარანტიო თანხები.

**ქვეპროგრამის მიზანია:** სოფლად მაცხოვრებელი მოსახლეობის ტექნიკურად სუფთა სასმელი წყლით უზრუნველყოფა შეფერხების გარეშე, სოფლებში ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** მუნიციპალიტეტის სოფლებში რეაბილიტირებული დაზიანებული სასმელი წყლის სისტემა;

**1.2.2. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ა(ა)იპ ონის მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრი (პროგრამული კოდი 02 02 02)**

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი**: ა(ა)იპ ონის მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრი

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**: ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის სოფლებში ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებული ადგილების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას.

**ქვეპროგრამის მიზანია:** სოფლად მაცხოვრებელი მოსახლეობის ტექნიკურად სუფთა სასმელი წყლით უზრუნველყოფა შეფერხების გარეშე, სოფლებში ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** მუნიციპალიტეტის სოფლებში წყალმომარაგების ქსელში აღმოფხვრილი დაზიანებები.

1.3. პროგრამის დასახელება გარე განათება (პროგრამული კოდი 02 03)

**განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური**

**პროგრამის აღწერა და მიზანი**: ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ონში და სოფლების ძირითად ნაწილში, გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 90%. გარე განათების პროგრამა მოიცავს 2 ქვეპროგრამას:

- გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია;

- კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში;

**პროგრამის მიზანია:** მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის გარე განათბის ქსელით სრულად დაფარვა; მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება; პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების დროული აღმოფხვრა;

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგი**: მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის გარე განათების ქსელით სრულად დაფარვა; გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება.

1.3.1. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია ( პროგრამული კოდი 02 03 01)

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი**: **ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური**

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**: ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ონში და სოფლების გარკვეულ ნაწილში, გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 90%. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლას;
- ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლებას;
- დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთებას.

ქვეპროგრამა ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას (240.0 ათ.ლარი).

**ქვეპროგრამის მიზანია:** კომფორტული გარემოს შექმნა უსაფრთხო გადაადგილებისათვის.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება.

**1.3.2. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში (პროგრამული კოდი 02 03 02)**

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური**

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლებში გარკვეულ უბნებში გარე განათების ახალი წერტილების დამატება, რეაბილიტაცია კერძოდ მოხდება სოფელ ღარში გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია, ასევე ახალი გარე განათების დამატებული წერტილების აბონენტად აყვანის ხარჯი.

**ქვეპროგრამის მიზანია:** კომფორტული გარემოს შექმნა უსაფრთხო გადაადგილებისათვის.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე განათების გარეშე დარჩენილი უბნების დაფარვა გარე განათების ქსელით.

**1.4. პროგრამის დასახელება მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია ( პროგრამული კოდი 02 04)**

**განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური**

**პროგრამის აღწერა და მიზანი**: პროგრამა ითვალისწინებს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მოწესრიგება, რეაბილიტაციას სასურველი იერსახისა და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნის მიზნით, რომლის ფარგლებშიც თანამონაწილეობის პრინციპით დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები მოსახლეობის განცხადებების და არსებული მდგომარეობის სიმძიმის გათვალისწინებით. პროგრამაში ასევე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში ბალანსზე რიცხული შენობების რეაბილიტაცია და ახალი შენობების მშენებლობა, რომლის დაფინანსება მოხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერითა და თანამონაწილეობით ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრებით. პროგრამა მოიცავს 2 ქვეპროგრამას:

- საცხოვრებელი და არასცხოვრებელი შენობის ექსპოატაცია და რეაბილიტაცია;

- მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია;

**პროგრამის მიზანია:** რებილიტირებული და მოწესრიგებული იქნას საცხოვრებელი კორპუსები და ბალანსზე რიცხული შენობები.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგი**: რებილიტირებული და მოწესრიგებული საცხოვრებელი კორპუსები; ბალანსზე რიცხული შენობები.

**1.4.1. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04 01)**

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური**

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბინათმესაკუთრეთა საკუთრებაში

არსებული ქონების რეაბილიტაციის ხელშეწყობას, რომლის ფარგლებშიც თანამონაწილეობის პრინციპით დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები მოსახლეობის განცხადებების და არსებული მდგომარეობის სიმძიმის გათვალისწინებით. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრებთან შეხვედრები მიმდინარე პროგრამების გაცნობის მიზნით. **ქვეპროგრამის მიზანია:** არსებული პრობლემების გამოვლენა, მათი მოგვარებისათვის საჭირო გზებისა და მეთოდების ერთობლივად გადაწყვეტა.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** არსებული პრობლემების გამოვლენა, მათი მოგვარებისათვის საჭირო გზებისა და მეთოდების ერთობლივად გადაწყვეტა. რებილიტირებული და მოწესრიგებული იქნას საცხოვრებელი კორპუსები.

1.4.2. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპუატაცია და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04 02)

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური**

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ონში 2022 წელს აშენებული საჭიდაო დარბაზის კეთილმოწყობა და აღჭურვა; სოფელ შეუბნის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია; აღნიშნული პროექტების დაფინანსება მოხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერითა და თანამონაწილეობით ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრებით. ბიუჯეტის საკუთარი სახსრებით შესრულდება მერიის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფელ სევაში და საკაოში სპორტული მოედნის მოწყობა, ხოლო სლოვაკეთის რესპუბლიკის საელჩოს მიერ გამოყოფილი გრანტითა და თანამონაწილეობით ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრებით მოხდება ზეერშევას სახელობის სკვერში არსებული სპორტული დარბაზის შენობაში საცოცი კედლის მოწყობა და მინი საფეხბურთო სტადიონის სრული რეაბილიტაცია. ასევე ამ პროგრამით გათვალისწინებულია წინა წლებში შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული საგარანტიო თანხები. **ქვეპროგრამის მიზანია:** საჭიროებების გამოვლენა ბალანსზე რიცხული შენობების რეაბილიტაციასა და მშენებლობაზე.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** რებილიტირებული და მოწესრიგებული იქნას ბალანსზე რიცხული შენობები.

1.5. პროგრამის დასახელება კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 05)

**განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური**

**პროგრამის აღწერა და მიზანი:** ქ. ონში საზოდაგოდოებრივი დანიშნულების სივრცეების კეთილმოწყობა-რეაბილიტაციის პროექტი გულისხმობს ვახტანგ მე-6 და დემეტრე II ქუჩების გარკვეულ მონაკვეთებზე საფეხმავლო ბილიკების, ღობეების, გამწვანების ზოლების, გარე განათების მოწყობას. ასევე მოხდება ქ.ონში აგრარული ბაზრის მშენებლობა და ტერიტორიის კეთილმოწყობა, ქალაქ ონში გივი დგვარელის ქუჩაზე სკვერის მოწყობის სამუშაო, სორტუანზე არსებული აუზის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, ვახტანგ მეექვსის ქუჩაზე სკვერის კეთილმოწყობის სამუშაო და ქალაქ ონში 20 მეტრიანი სადროშე ბოძის მონტაჟი. პროექტის განხორციელება ითვალისწინებს ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარებას. რომლის დაფინანსება მოხდება რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონიდან და თანადაფინანსებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ამ პროგრამით გათვალისწინებულია ქ. ონში სორტუანის მინერალურ წყალზე ღია აუზის მოწყობის დამატებითი სამუშაოების შესრულება რომლის დაფინანსება მოხდება სახელმწიფო ბიუჯეტის გასული წლის ნარჩენი თანხიდან. ასევე ამ პროგრამით გათვალისწინებულია წინა წლებში შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული საგარანტიო თანხები. **პროგრამის მიზანია:** ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება, ქალაქის იერსახის შეცვლა-გალამაზება, ხელი შეეწყოს ტურიზმის განვითარებას.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგი**: განვითარებული ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურა და ტურიზმისთის მიმზიდველი გარემო; ადგილობრივი მოსახლეობისათვის და ტურისტებისათვის შექმნილი სამკურნალოდ სასურველი პირობები.

**1.6. პროგრამის დასახელება საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა ( პროგრამული კოდი 02 06)**

**განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური**

**პროგრამის აღწერა და მიზანი:** ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისათვის საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა და მიმდინარე სამუშოების საზედამხედველო მომსახურება. იგეგმება 7 პროექტის შესყიდვა: 1. საკრებულოს შენობის რეკონსტრუქციის; 2. გვერითის მჟავეწყალზე მისასვლელი გზის მოწყობის; 3. შეუბნის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის; 4. ქალაქის კეთილმოწყობის პროექტირების მეორე ეტაპი (ლებანიძე, ვახტანგ მე-6 და ბარათაშვილის ქუჩების); 5. ბრილში მდ.რიონზე გადასასვლელი ხიდის მოწყობის; 6. სოფელ ღებიდან თევრეშო-შიუკაჭალა-სასვანოს გორამდე გზის რეაბილიტაციისათვის; 7. შქმერში ქვაგახეთქილასთან გადმოსახედის მოწყობისათვი; 8. სოფ ღებში (ჭალეების უბანი), პატარა ღებში, უწერაში (ჟამიერეთ უბანი) ნიგვზნარაში და სორში მდინარე რიონზე პრევენციის მიზნით ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობისათვის; 9. ქ.ონში გ.მაისურაძის ქ. N4-ში მდებარე ძველი საბავშვო ბაღის დემონტაჟის; 10. ქ.ონში დგვარელის ქ. N8-ში მდებარე ყოფილი საქვაბის შენობის დემონტაჟის; 11. ქ.ონში ვახტანგ VI-ის ქ. N 8-ში მდებარე ყოფილი სანეპიდსადგურის შენობის დემონტაჟის; 12. სოფელ ღებში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის; 13. სოფლებში: ქვედში, სორში, ონჭევში, ბაჯიხევსა და ღარში 2023 წლის 14 ივნისის და 29-30 ივნისის სტიქიის (წყალდიდობა) შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის (გზები, სანიაღვრე სისტემები, საფეხმავლო ბოგირები, გზის საყრდენი კედლები, წყალსადენის სათავე ნაგებობა, ნაპირსამაგრი ნაგებობები) აღდგენა; 14. სოფელ ცხმორში არსებული ჩანჩქერისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

**პროგრამის მიზანია:** ხარისხიანი საპროექტო დოკუმენტაციის და სამუშაოების შესყიდვა.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგი**: შეიქმნას მაქსიმალურად ზუსტი და ხარიასხიანი საპროექტო დოკუმენტაცია და მოხდეს მიმდინარე სამუშაოების კონტროლი.

**1.7. პროგრამის დასახელება სოფლის პროგრამის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 02 07)**

**განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური**

**პროგრამის აღწერა და მიზანი**: პროგრამით განხორციელდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თახებით დაფინანსება, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასევე საკუთარი შემოსავლებით წილობრივად. სამუშაოების შესრულება განხორციელდება სოფლის მოსახლეობის მიერ შერჩეული პრიორიტეტით, რაც დამტკიცებულია საკრებულოს განკარგულებით.

**პროგრამის მიზანია:** გაუმჯობესებული იქნას სოფლების ინფრასტრუქტურა და სოფლად მაცხოვრებელი მოსახლეობის ყოფითი პირობების გაუმჯობესება.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგი**: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა სოფლად

**1.8. პროგრამის დასახელება სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 08)**

**განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური**

**პროგრამის აღწერა და მიზანი**: ქ. ონის ტერიტორიაზე უხვი ნალექის დროს არსებული სანიაღვრე სისტემები ვერ უზრუნველყოფს წყლის ნაკადის შეჩერებას. ხდება საგზაო ინფრასტრუქტურისა და კერძო საკარმიდამო ნაკვეთების და კომერციული ფართების დატბორვა, საფრთხე ექმნება მოქალაქეთა ჯანმრთელობას. არსებული მდგომარეობის თავიდან აცილების მიზნით აღნიშნული პროგრამის ფარგლებში იგეგმება ქ. ონის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე სისტემების წმენდა, რათა უხვი ნალექის პირობებში სანიაღვრე სისტემამ დაუბრკოლებლად შეძლოს ზედაპირული და ფერდობებიდან ჩამომავალი წყლის ნაკადის გატარება, რომ თავიდან ავიცილოთ ქალაქის ტერიტორიის დატბორვა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების დაზიანება. პროგრამის ფარგლებში იგეგმება სოფლებში უწერაში და წმენდაურში წყალანირების სისტემის მოწყობა. დაფინანსება მოხდება წილობრივად ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში. პროგრამა ასევე ითვალისწინებს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული სოფელ გლოლაში მდინარე ბოყოსა და ილინეს კალაპოტის წმენდისა და ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოებს, ასევე ამ პროგრამით გათვალისწინებულია წინა წლებში შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული საგარანტიო თანხები.

**პროგრამის მიზანია:** მოსახლეობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა და მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილება. ქალაქსა და სოფლად მაცხოვრებელი მოსახლეობის ყოფითი პირობებისა გაუმჯობესება.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგი**: სტიქიის უარყოფითი შედეგების პრევენცია. გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა.

## 1.9. პროგრამის დასახელება მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება (პროგრამული კოდი 02 09)

**განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის სამსახური**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში (ონი-ჭიორა-ღები-ონი; ონი-უწერა-შოვი-ონი; ონი-ქვედი-ონი; ონი-საკაო-მაჟიეთი-ხიდეშლები-ონი; ონი-წედისი-ონი; ონი-ირი-ონი; ონი-ცხმორი-ბაჯიხევი-ონი) და მის ფარგლებს გარეთ ( ონი-ამბროლაური-ონი) სატრანსპორტო სისტემის შექმნა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას. პროგრამის ფარგლებში ასევე მოხდება ერთი ერთეული ნაგავმზიდი ავტომანქანისა და ორი ავტობუსის შეძენა.

**პროგრამის მიზანია:** მოსახლეობის უსაფრთხო ტრანსპორტირება. დასუფთავებისთვის საჭირო დროის შემცირება.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგი**: ონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დროული და უსაფრთხო გადაადგილება.

## 1.10. პროგრამის დასახელება ეკონომიკური განვითარება ბიზნეს კლასტერების შექმნის და ინვესტიციების მოზიდვის გზით (პროგრამული კოდი 02 10)

**განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის სამსახური**

**პროგრამის აღწერა და მიზანი**: პროგრამის ფარგლებში იგეგმება ონის მუნიციპალიტეტში 2 ბიზნეს კლასტერის შექმნა (თითოეულში მინიმუმ 15 წევრი მიკრო, მცირე და საშუალო კომპანია). კლასტერების და მათი წევრი მცირე და საშუალო კომპანიების უნარების გაუმჯობესება და საპილოტე პროექტების განხორციელება ქვე-გრანტის კომპონენტის საშუალებით. საინვესტიციო მიმზიდველობის

გაუმჯობესება.

**პროგრამის მიზანია:** მუნიციპალიტეტში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოების გაზრდილი კონკურენტუნარიანობა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ინვესტიციების ზრდა. გაუმჯობესებული სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგი**: მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება, საინვესტიციო მიმზიდველობის გაუმჯობესება.

## 2. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 785.2 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

*ათას ლარში*

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | 2023 წლის პროექტი |
|---|---|---|
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 785.2 |
| 03 01 | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | 675.2 |
| 03 02 | ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახური | 100.0 |
| 03 03 | უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიებები | 10.0 |

### 2.1. პროგრამის დასახელება დასუფთვება და ნარჩენების გატანა (პროგრამული კოდი 03 01)

**განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური**

**პროგრამის აღწერა და მიზანი**: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ონში და მუნიციპალიტეტის სოფლებში დასუფთავებისა და მასთან დაკავშირებულ მომსახურებას; მოხდება შეგროვილი ნარჩენების ტრანსპორტირება ნაგავსაყრელ პოლიგონზე, ტერიტორია სადაც დგას ბუნკერები დღის განმავლობაში მუდმივად დასუფთავდება, დაცული იქნება მოედნების და სკვერების გამწვანების ზოლი ცხოველების დაზიანებისაგან, მოხდება 7 (შვიდი) ერთეული ბიო ტუალეტების მოვლა-დასუფთავება, მოეწყობა სეპარირებული ნარჩენების შესანახი სათავსო, ასევე მოხდება დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების ორგანიზება ქალაქ ონის მოსახლეობიდან, ეტაპობრივად დასუფთავების არეალი გაიზრდება.

**ქვეპროგრამის მიზანია**: ნარჩენების შეგროვების ეფექტურობის გაზრდა, რათა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შევინარჩუნოთ უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა გარემო.

**მოსალოდნელი შედეგი**: დასუფთავებული, უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა გარემო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

### 2.2. პროგრამის დასახელება ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახური (პროგრამული კოდი 03 02)

**განმახორციელებელი: ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახური**

**პროგრამის აღწერა და მიზანი**: ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქ ონში არსებულ სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიები: ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა. **ქვეპროგრამის მიზანია:** მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი მაქსიმალურად გაზრდილი რეკრეაციული ზონები და მოვლილი მწვანე ნარგავები.

**მოსალოდნელი შედეგი**: ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება; ქალაქის ტერიტორიის ლამაზი, მოვლილი და მიმზიდველი გარემო

**2.3. პროგრამის დასახელება უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიება ( პროგრამული კოდი 03 03)**

**განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური**

**პროგრამის აღწერა და მიზანი**: ქვეპროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხორციელდება ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებში არსებული უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების თავშესაფარში დროებით გადაყვანის და შესაბამისი მომსახურების გაწევის დაფინანსება. **პროგრამის მიზანია**: მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.

**მოსალოდნელი შედეგი**: ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება; ქალაქის ტერიტორიის ლამაზი, მოვლილი და მიმზიდველი გარემო

**3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 629.7 ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

*ათას ლარში*

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | 2023 წლის პროექტი |
|---|---|---|
| 04 00 | **განათლება** | **629.7** |
| 04 01 | სკოლამდელი განათლება | 450.0 |
| 04 02 | სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა | - |
| 04 03 | განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა | - |
| 04 04 | საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა | 171.7 |
| 04 05 | წარმატებული სტუდენტებისათვის მერის სტიპენდიის გაცემა | 8.0 |

**3.1. პროგრამის დასახელება სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)**

**განმახორციელებელი: ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღი**

**პროგრამის აღწერა და მიზანი:**

ბაგა-ბაღი მიზნად ისახავს სკოლამდელი ასაკის ბავშვების ჰოლისტურ განვითარებას, ინკლუზიურ განათლებას, აღსაზრდელების უსაფრთხოებასა და საუკეთესო ინტერესების დაცვას, სტანდარტის შესრულების გაძლიერებას, ბავშვთა სკოლისათვის მომზადებას. აღმზრდელების ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად გადამზადებას და ავტორიზაციისათვის მომზადებას. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 1 ბაგა- ბაღი სადაც დღეის მდგომარეობით შესაძლებელია 160 ბავშვის სწავლება, სოფელ გლოლაში არის საბავშვო ბაღი, კვებით უზრუნველყოფით,სოფლებში ბავშვთა კონტიგენტის და მშობელთა მომართვიანობის შესაბამისად გაიხსნება სასკოლო მზაობის ცენტრები შესაბამისი მომსახურეობით. სულ სკოლამდელ დაწესებულებაში დასაქმებულია 44 თანამშრომელი. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ჰასპის პროგრამის დანერგვა.

**პროგრამის მიზანია:** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 2-დან 6 წლამდე ბავშვის უზრუნველყოფა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესით; სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვების მზაობა შესაბამისი განათლების მიღებისათვის; ბავშვების ოპტიმალური ზრდისა და განვითარების უზრუნველსაყოფად შესაფერისი გარემოს შექმნა.

**მოსალოდნელი შედეგი**: სკოლამდელი აღზრდის დასებულების მომსახურებით უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტში მცხოვრები 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვები; სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვების მზაობა შესაბამისი განათლების მიღებისათვის;

**3.2. პროგრამის დასახელება საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა ( პროგრამული კოდი 04 04)**

**განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური**

**პროგრამის აღწერა და მიზანი**: პროგრამით გათვალისწინებულია სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა ისეთი სოფლებიდან, სადაც არ არის საჯარო სკოლა, ბავშვების გადაყვანას ახლო მდებარე საჯარო სკოლებში და მათ უკან სახლში დაბრუნებას.

**პროგრამის მიზანია:** ყველა მოსწავლისათვის სკოლაში მისასვლელი უსაფრთხო ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

**მოსალოდნელი შედეგი**: საჯარო სკოლებში მოსიარულე მოსწავლეთა გაზრდილი რაოდენობა უსაფრთხო ტრანსპორტის ხელმისაწვდომობით.

**3.3. პროგრამის დასახელება წარმატებული სტუდენტებისათვის მერის სტიპენდიის გაცემა ( პროგრამული კოდი 04 05)**

**განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური**

**პროგრამის აღწერა და მიზანი**: პროგრამით გათვალისწინებულია საქართველოს ტერიტორიაზე ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის უმაღლეს საგანმნათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული საუკეთესო შედეგის მქონე 5 (პირველ საფეხურზე 4 სტუდენტი და მეორე საფეხურზე 1 სტუდენტი), წარმატებული სტუდენტისათვის ონის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიის გაცემა.

**პროგრამის მიზანია:** მუნიციპალიტეტში მცხოვრები წარმატებული სტუდენტი ახალგაზრდების მხარდაჭერა მაღალი აკადემიური განათლების მისაღებად, მათში მოტივაციის შექმნა.

**მოსალოდნელი შედეგი**: სტუდენტების დაინტერესება მიაღწიონ სწავლაში მეტ წარმატებას; წარმატებული სტუდენტების გაზრდილი რაოდენობა;

## 4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1,307.1 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

*ათას ლარში*

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | 2023 წლის პროექტი |
|---|---|---|
| 05 00 | **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი** | **1,307.1** |
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 403.0 |
| 05 01 01 | ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი | 237.5 |
| 05 01 02 | ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი მამისონი | 132.5 |
| 05 01 03 | ა(ა)იპ „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბი - ამარანტები“ | 25.0 |
| 05 01 04 | წარმატებული სპორტსმენების დახმარება | 8.0 |
| 05 02 | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 680.2 |
| 05 02 01 | სახელოვნებო სკოლის ხელშეწყობის ღონისძიებები | 149.5 |
| 05 02 01 01 | ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის ზურა ბაკურაძის სახელობის სამუსიკო სკოლა | 91.0 |
| 05 02 01 02 | ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა | 58.5 |
| 05 02 02 | კულტურის ცენტრის დაფინანსების ღონისძიებები | 229.4 |
| 05 02 03 | მუზეუმის ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები | 75.8 |
| 05 02 04 | ბიბლიოთეკის დაფინანსების ღონისძიებები | 97.5 |
| 05 02 05 | ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი | 52.0 |
| 05 02 06 | კულტურული ღონისძიებების დაფინანსება | 76.0 |
| 05 03 | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | 100.0 |
| 05 04 | ახალგაზრდობის მხარდაჭერა | 123.9 |
| 05 04 01 | მოსწავლე ახალგაზრდობის ღონისძიებების დაფინანსება | 86.0 |
| 05 04 02 | ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების მხარდაჭერა | 37.9 |

4.1. პროგრამის დასახელება სპორტის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 01)

**განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური**

**პროგრამის აღწერა და მიზანი**: პროგრამა ითვალისწინებს ონის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სპორტული მიმართულების ორი ა(ა)იპ-ის ფუნქციონირებას, რომელიცაა ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი და ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა მამისონი, ასევე პროგრამის ფარგლებში მოხდება წარმატებული სპორტსმენების დახმარება. სკოლებში ფუნქციონირებს და ბავშვები ეუფლებიან სხვადასხვა სპორტული მიმართულებებს, იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა შეკრებებსა და ღონისძიებებში.

**პროგრამის მიზანია:**

- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;

- მეტი მოზარდის ჩაბმა სპორტულ აქტივობებში, ბავშვებისა და მოზარდების მეთოდური აღზრდა/დაოსტატება;

- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა, როგორც ქვეყნის მასშტაბით ასევე საზღვრებს გარეთ. სპორტული ღონისსძიებების მაღალ დონეზე ჩატარება.

- წარმატებული სპორტსმენების წახალისება მომავალი უკეთესი შედეგების მისაღებად.

**მოსალოდნელი შედეგი**: სპორტული წრეებით სარგებლობის მაქსიმალური ხელმისაწვდომობა; ჯანსაღი ცხოვრების წესით დაკავებული ახალგაზრდობა; წარმატებული სპორტსმენები და მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდები სპორტის სხვადასხვა სფეროში.

4.1.1. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი (პროგრამული კოდი 05 01 01)

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი**: ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**: სასპორტო სკოლის კომპლექსი აერთიანებს 2 სპორტულ მიმართულებას, ესენია: თავისუფალი ჭიდაობა (40 ბავშვი), ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (5 ბავშვი), კალათბურთი (35 ბავშვი) და ფრენბურთი (38 ბავშვი). სულ კომპლექსში სპორტის სახეობებს ეუფლება 118 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 4-ჯერ. კომპლექსში დასაქმებულია ჯამში 19 ადამიანი. კომპლექსის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებეში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ. დაგეგმილ ღონისძიებებსა და ტურნირებში მონაწილეობისათვის სპორტსმენების, მწვრთნელების და წარმომადგენლების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას მგზავრობის, საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის და კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობის განსაზღვრა და მისი ანაზღაურება მოხდება ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ოქტომბრის N24 დადგენილების შესაბამისად.
**ქვეპროგრამის მიზანია:**

- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;

- მეტი მოზარდის ჩაბმა სპორტულ აქტივობებში, ბავშვებისა და მოზარდების მეთოდური აღზრდა/დაოსტატება;

- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა როგორც ქვეყნის მასშტაბით ასევე საზღვრებს გარეთ. სპორტული ღონისსძიებების მაღალ დონეზე ჩატარება.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** სპორტული წრეებით სარგებლობის მაქსიმალური ხელმისაწვდომობა; ჯანსაღი ცხოვრების წესით დაკავებული ახალგაზრდობა; წარმატებული სპორტსმენები და მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდები სპორტის სხვადასხვა სფეროში.

4.1.2. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა მამისონი (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა მამისონი

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საფეხბურთო სკოლა მამისონი, სადაც სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ფეხბურთს ეუფლება 48 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ. კომპლექსში დასაქმებულია ჯამში 10 ადამიანი. კლუბის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებეში და ტურნირებში, რეგიონებში საქართველოს მთელი მასშტაბით. დაგეგმილ ღონისძიებებსა და ტურნირებში მონაწილეობისათვის სპორტსმენების, მწვრთნელების და წარმომადგენლების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას მგზავრობის, საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის და კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობის განსაზღვრა და მისი ანაზღაურება მოხდება ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ოქტომბრის N24 დადგენილების შესაბამისად. **ქვეპროგრამის მიზანია:**

- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;

- მეტი მოზარდის ჩართვა ფეხბურთში, ბავშვებისა და მოზარდების მეთოდური აღზრდა/დაოსტატება;

- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა, საფეხბურთო შეჯიბრებების მაღალ დონეზე ჩატარება.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** ფეხბურთით სარგებლობის მაქსიმალური ხელმისაწვდომობა; ფეხბურთით დაკავებული მოზარდების გაზრდილი რაოდენობა; ჯანსაღი ცხოვრების წესით დაკავებული ახალგაზრდობა;

4.1.3. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ა(ა)იპ „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბი ამარანტები“ (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბი ამარანტები“

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**: ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება რაჭა, ლეჩხუმი, ქვემო სვანეთის რეგიონში რეგოინალური რაგბის კლუბი, სადაც სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში რაგბის დაეუფლებიან ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვები, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი ჩაუტარდებათ კვირაში 2-ჯერ. **ქვეპროგრამის მიზანია:**

- რაგბის განვითარება და პორულარიზაცია მუნიციპალიტეტში;

- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;

- მეტი მოზარდის ჩართვა რაგბში, ბავშვებისა და მოზარდების მეთოდური აღზრდა/დაოსტატება;

- რეგიონალური სპორტული შედეგების წარმოჩენა, შეჯიბრებების მაღალ დონეზე ჩატარება.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** რაგბით სარგებლობის მაქსიმალური ხელმისაწვდომობა;

რაგბით დაკავებული მოზარდების გაზრდილი რაოდენობა; ჯანსაღი ცხოვრების წესით დაკავებული ახალგაზრდობა;

**4.1.4. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების დახმარება (პროგრამული კოდი 05 01 04)**

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური**

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ონის მუნიციაპლიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ეროვნულ, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში გამარჯვებული სპორტსმენებისათვის, ონის მუნიციპალიტეტის წლის საუკეთესო სპორტსმენისათვის (ერთჯერადად) და სხვადასხვა ჩემპიონატში გამარჯვებული სპორტსმენის მწვრთნელისათვის ჯილდოს სახით ფულადი დახმარების გაცემა. **ქვეპროგრამის მიზანია:**

- სპორტსმენებისა და მწვრთნელების მოტივაციის ამაღლება მომავალი შედეგების გასაუმჯობესებლად;

- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა როგორც ქვეყნის მასშტაბით ასევე საზღვრებს გარეთ;

- სპორტის სახეობების განვითარება და პოპულარიზაცია.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** სხვადასხვა ჩემპიონატებში გამარჯვებული სპორტსმენების გაზრდილი რაოდენობა. წარმატებული სპორტსმენების მწვრთნელებზე გაზრდილი მოთხოვნა. დაინტერესებული ახალგაზრდების გაზრდილი რაოდენობა.

**4.2. პროგრამის დასახელება კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)**

**განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური**

**პროგრამის აღწერა და მიზანი**: პროგრამა ითვალისწინებს ონის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სხვადასხა კულტურული მიმართულების ა(ა)იპ ების ფუნქციონირებას, რომლებიცაა ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ზურა ბაკურაძის სახელობის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლი, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრი და კულტურული ღონისძიებების მოწყობა. პროგრამის ფარგლებში სახელოვნებო სკოლებში ბავშევები ეუფლებიან ფორტეპიანოზე დაკვრას, სახვითი ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებებს, ბავშვები დაკავებულები არიან სხვადასხა შემოქმედებით წრეებში, ხორციელდება ბიბლიოთეკისა და მუზეუმის დაფინანსება, ტურიზმის განვითარების განხრით სახვადასხავა ღონისძიებების ჩატარება. **პროგრამის მიზანია:** შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; გამორჩეული შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; მუნიციპალიტეტში ადრე გავრცელებული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების შესწავლა და აღორძინება; კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, ახლის მოძიება და შესწავლა; წიგნადი ფონდის დაცვა და პოპულარიზაცია; ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა; შესწავლილი და დაცული კულტურული მემკვიდრეობის ახალი ექსპონატები; გაზრდილი ტურისტული პოტენციალი;

**მოსალოდნელი შედეგი**: სახელოვნებო და შემოქმედებითი წრეებით დაკავებული ახალგაზრდების გაზრდილი რაოდენობა; გამორჩეული შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში მეტი ჩართულობა;

**4.2.1. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის ზურა ბაკურაძის სახელობის სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 01)**

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის ზურა ბაკურაძის სახელობის სამუსიკო სკოლა**

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლა სადაც დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 32 ბავშვი. ბავშვები ეუფლებიან ფორტეპიანოზე დაკვრას, ასევე სწავლობენ თეორიულ საგნებს. სამუსიკო სკოლაში დასაქმებულია 10 თანამშრომელი.

სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის **ქვეპროგრამის მიზანია:** შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეები ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე. მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** სამუსიკო დაწყებით განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა; კულტურულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილთა გაზრდილი მაჩვენებელი.

**4.2.2. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 02)**

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა**

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამხატვრო სკოლა სადაც განათლებას იღებს ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 87 ბავშვი. სამხატვრო სკოლაში ბავშვები ეუფლებიან ხატვას, ფერწერას, კომპოზიციას, ძერწვას, თექას, ბატიკას, ხის მხატვრულ დამუშავებას, ქსოვას. სკოლაში სულ დასაქმებულია 10 თანამშრომელი.

**ქვეპროგრამის მიზანია:** შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული სამხატვრო ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** სამხატვრო განათლებაზე ბავშვებისა და მოზარდების გაზრდილი მოთხოვნა; კულტურულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილთა გაზრდილი მაჩვენებელი.

**4.2.3. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი კულტურის ცენტრის დაფინანსების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 02)**

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლი**

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**: კულტურის სახლში მოქმედებს სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის 6

შემოქმედებითი წრე: ქორეოგრაფიული, საესტრადო, ქართული ხალხური სიმღერის შემსწავლელი, ქართული ხალხური ინსტრუმენტების - ფანდურის შემსწავლელი და ქართული ხალხური ინსტრუმენტების - სტვირის შემსწავლელი, სასცენო მეტყველების შემსწავლელი წრეები, სულ წრეებში გაწევრიანებულია 180 ბავშვი. კულტურის სახლში დასაქმებულია შტატით 43 და შტატგარეშე 3 ადამიანი. ანსამბლები მონაწილეობას იღებენ საქართველოს მასშტაბით გამართულ სხვადასხვა ღონისძიებასა და ფესტივალებში. **ქვეპროგრამის მიზანია:**

- განახორციელოს მუნიციპალიტეტში ადრე გავრცელებული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების შესწავლა და აღორძინება.

- შეიმუშაოს სხვადასხვა კულტურული პროგრამა და უზრუნველყოს მისი განხორციელება.

- დაგეგმოს მასობრივი ღონისძიებები და უზრუნველყოს ფართო საზოგადოების ჩართულობა.

- მოაწყოს ექსპედიციები სხვადასხვა ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალის მოძიებისა და პოპულარიზაციის მიზნით.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების გაზრდილი მოთხოვნა კულტურის სხვადასხვა სფეროს მიმართ; კულტურულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეთა გაზრდილი მაჩვენებელი; ეროვნულ ტრადიციებზე აღზრდილი თაობა.

**4.2.4. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი მუზეუმის ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 03)**

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი**: ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელიც წარმოადგენს კულტურის, განათლების, მეცნიერების კერას. სადაც დაცულია 14 000-ზე მეტი ძირითადი და დამხმარე ექსპონატები მათ შორის არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, სახვითი ხელოვნების ნიმუშები, შუასაუკუნეების რელიეფები, ნუმიზმატიკური, ხელნაწერი და ძველბეჭდური წიგნები, ხელნაწერი ისტორიული დოკუმენტები და სხვადასხვა პატარა კოლექციები. მუზეუმში დასაქმებულია 13 თანამშრომელი. მუზეუმი მასპინძლობს როგორც უცხოელ ასევე ადგილობრივ ვიზიტორებს, აწყობს არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ, პალეონტოლოგიურ, ფოლკლორულ ექსპედიციებს რაჭის სხვადასხვა სოფლებში. მიმდინარეობს სამეცნიერო საგანმანათლებლო საქმიანობა და მჭიდრო თანამშრომლობა სხვადასხვა კვლევით დაწესებულებებთან. მეცნიერთანამშრომლები მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა პროექტის ფარგლებში დაფინანსებულ ბუკლეტებისა და კატალოგების გამოცემებში. მუზეუმში ეწყობა სხვადასხვა მხატვრების სახვითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა, პრეზენტაცია ხდება სხვადასხვა წიგნების, ალბომებისა და კატალოგების. დეზინფეცია-დეზინექცია უტარდება მუზეუმის ფონდებში დაცულ ხისა და ტექსტილის ნიმუშებს.

**ქვეპროგრამის მიზანია:** სახვადასხვა სამეცნირო-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება, ექსპონატების შეგროვება დაცვა პოპულარიზაცია, მჭიდრო თანამშრომლობა მოსწავლე ახალგაზრდობასთან, ვოლონტერებთან, საზოგადოების ფართო მასების აქტიური ჩართულობა ჩვენი კუთხის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შესწავლის საქმეში.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** დაცული და შესწავლილი კულტურული მემკვიდრეობის ექსპონატები; ვიზიტორთა რაოდენობის მატება;

**4.2.5. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ბიბლიოთეკის დაფინანსების ღონისძიებები ( პროგრამული კოდი 05 02 04)**

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი:** ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:** ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა შედგება 1- ქალაქის და 17 სასოფლო ბიბლიოთეკისაგან. წიგნადი ფონდი შეადგენს სოფლად და ქალაქად -62408 ეგზემპლარს. ბიბლიოთეკაში დასაქმებულია 26 თანამშრომელი, რომელიც ემსახურება ყველა ასაკის მკითხველს. წლის განმავლობაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები. კითხვის საღამოები ლიტერატურულ-თეატრალური წარმოდგენები. დაგეგმილია წიგნადი ფონდების განახლება, შემეცნებითი შეხვედრების ჩატარება სკოლებში.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** მოსახლეობისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა, ჩართულობისა და დაინტერესების ზრდა.

**4.2.6. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 05)**

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრი**

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:** ქვეპროგრამა ითვალისწინებს ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას; წინადადებების შემუშავება ტურიზმის პოტენციალის გაზრდის მიზნით; ტურიზმის სფეროში სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება შეგროვება; ტურიზმის სფეროში მომუშავე სხვადასხვა ორგანიზაციიდან თანამშრომლობის გზით წინადადებების შემუშავება, ტურისტული მომსახურების სფეროში არსებული გამიცდილების გაზიარებისა და პრაქტიკაში დანერგვის მიზნით შესაბამისი პროექტების მომზადება.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** გაზრდილი ტურისტული პოტენციალი და შემოსული ტურისტების გაზრდილი რაოდენობა.

**4.2.7. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი კულტურული ღონისძიებების დაფინანსება ( პროგრამული კოდი 05 02 06)**

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური**

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:** ქვეპროგრამების განხორციელება ითვალისწინებს ონის მუნიციპალიტეტში საერო-სადღესასწაულო დღეების აღნიშვნას, მუნიციპალური ღონისძიებები ახალი წელი; შშმ პირთა სიმღერის, ცეკვისა და ხელოვნების ინტეგრირებული კონკურს-ფესტივალი; ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავი ღონისძიებები; ინტელექტუალური კონკურსი "ეტალონი"; სამოყვარულო კალათბურთის გუნდისათვის ფორმების შეძენა; ჩემპიონატი ფეინთბოლში 2023 წ. **ქვეპროგარმის მიზანია:** კულტურულ ცხოვრებაში ფართო საზოგადოების ჩართვა; მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება; უზრუნელყოფილი იქნება კულტურულ ცხოვრებაში შშმ პირთა ჩართულობა; სხვადასხვა კულტურის შეუზღუდავი თვითგამოხავისა და კულტურათა შორის დიალოგის გაღრმავება.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** კულტურულ ცხოვრებაში ფართო საზოგადოების გაზრდილი ჩართულობა;

**4.3. პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა ( პროგრამული კოდი 05 03)**

**პროგრამის განმახორციელებელი:** ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

**პროგრამის აღწერა და მიზანი**: სოფელ მრავალძალში წმინდა გიორგის სახელობის ტაძრისშენობაში მდებარე დამხმარე შენობის რეაბილიტაცია.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** მოვლილი და განახლებული რელიგიური ძეგლები.

**4.4. პროგრამის დასახელება ახალგაზრდების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 04)**

**განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური**

**პროგრამის აღწერა და მიზანი**: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, სადაც ბავშვები ეუფლებიან ფოლკლორს, ხალხურ საკრავებზე დაკვრის ხელოვნებას, საესტრადო სიმღერების შესწავლას, სასცენო ხელოვნებას, მხატრვულ კითხვას, საქართველოს ისტორიის შესწავლას, ჭადრაკის, ანა-ბანას, კომპიუტერულ ტექნოლოგიებს და საგნობრივი წრეებში ცოდნის გაღრმავებას. ასევე პროგრამის ფარგლებში მოხდება ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების მხარდაჭერა, რომლიც დაემხარება ახალგაზრდებს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლებაში, მონაწილეობისა და გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო კომპეტენციების განვითარებაში და ადგილობრივი თვითმმართველობის საქმოანობაში მონაწილეობის მიღებაში; ახალგაზრდების შეხვედრები თანატოლებთან და მონაწილეობის მიღება ახალგაზრდულ ღონისძიებებსა და ფორუმებში; ახალგაზრდების ჩართვა საგანამანათლებლო, შემეცნებით და სპორტულ ღონისძიებებში.

**პროგრამის მიზანია**: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; ახალგაზრდები იყვნენ აქტიური მოქალაქეები და მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და განახორციელონ საკუთარი იდეები და ინიციატივები.

**მოსალოდნელი შედეგი**: სახელოვნებო და შემოქმედებითი წრეებით დაკავებული ახალგაზრდების გაზრდილი რაოდენობა; საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართული ახალგაზრდების გაზრდილი რაოდენობა;

**4.4.1. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი მოსწავლე ახალგაზრდობის ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 04 01)**

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი**: ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, სადაც მოქმედებს 9 წრე. აქედან 5 შემოქმედებითი, 3 შემეცნებითი და 1 საგნობრივი წრე. განათლებას იღებს ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 134 ბავშვი. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში დასაქმებულია სულ 15 თანამშრომელი. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში ბავშვები ეუფლებიან ფოლკლორს, ხალხურ საკრავებზე დაკვრის ხელოვნებას, საესტრადო სიმღერების შესწავლას, სასცენო ხელოვნებას, მხატრვულ კითხვას, საქართველოს ისტორიის შესწავლას, ჭადრაკის, ანა-ბანას, კომპიუტერულ ტექნოლოგიებს და საგნობრივი წრეებში ცოდნის გაღრმავებას. **ქვეპროგრამის მიზანია:** შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეების ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; ფასიანი და საერო დღესასწაულების ღონისძიებების მოწყობა; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, საქართველოს ფარგლებში.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების გაზრდილი მოთხოვნა კულტურის სხვადასხვა სფეროს მიმართ; კულტურულ ღონისძიებებში,

კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეთა გაზრდილი მაჩვენებელი; ეროვნულ ტრადიციებზე აღზრდილი თაობა.

**4.4.2. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 04 02)**

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური**

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**: ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებისთვის და სტრატეგიაში გაწერილი მიზნების მიღწევისთვის ონის მუნიციპალიტეტში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: საგანმანათლებლო მინიმუმ 3 პროგრამის მხარდაჭერა, რომელიც დაემხარება ახალგაზრდებს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლებაში, მონაწილეობისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო კომპეტენციების განვითარებაში რისთვისაც ჩატარდება საგანმანათლებლო ტრენინგები და მომნაწილეობას მიიღებს 40 ახალგაზრდა მათ შორის 25 გოგო და 15 ბიჭი; ახალგაზრდების ჩართვა სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობის მიზნით; ქვეყნის მასშტაბით მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრების ტრანსპორტირება საბჭოს შეხვედრებზე და მათი გადაადგილება სხვადასხვა სოფელში წლის განმავლობაში ახალგაზრდებთან შესახვედრად, ასევე ქვეყნის მასშტაბით დაგეგმილ ფორუმებში მონაწილეობას, რომლებიც განკუთვნილი იქნება ახალგაზრდული საბჭოებისათვის, რომელის შემადგენლობაში იქნება 8 გოგო და 2 ბიჭი; მასობრივი სპორტის პოპულარიზაციის მიზნით და სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობისათვის განხორციელდება მაგიდის ტენისის სამოყვარულო ჩემპიონატი, მომანაწილეთა შორის 25 ბიჭი და 5 გოგოა; მუნიციპალიტეტში მოეწყობა ღია-კინოთეატრის კონსტრუქცია, აღნიშნული ახალგაზრდული სივრცე ფუნქციურად დაიტვირთება სხვა ღონისძიებებთან ერთად და მოეწყობა მინიმუმ 15 კინოჩვენება; ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება ონის მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეებში ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ ჩატარება. თამაშის თემატიკა იქნება თვითმმართველობა. პროგრამის ფარგლებში მოხდება საგრანტო პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაცია „ორბელიანი საქართველოს“ დაფინანსება. ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის პროგრამის საგრანტო კონკურსში მოპოვებული გრანტით „ონის მუნიციპალიტეტში თემატური საბჭოების შესაძლებლობებისა და ეფექტიანობის გაძლიერების“ ფარგლებში მოხდება ახალგაზრდებისათვის სწავლება-ტრენინგების მოწყობა.

**ქვეპროგრამის მიზანია:** პროგრამა ითვალისწინებს ისეთი ეკოსისტემის ჩამოყალიბების მხარდაჭერას, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდების ადამიანური და სოციალური კაპიტალის განვითარებას და სადაც ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა, იყვნენ აქტიური მოქალაქეები და მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და განახორციელონ საკუთარი იდეები და ინიციატივები.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართული ახალგაზრდების გაზრდილი რაოდენობა; მომავლი პროფესიის არჩევისა და დასაქმების მეტი შესაძლებლობა; ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია ცნობიერების ამაღლება და კრიტიკული აზროვნების განვითარება.

**5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)**

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 459.3 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

*ათას ლარში*

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | 2023 წლის პროექტი |
|---|---|---|
| 06 00 | **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **459.3** |
| 06 01 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 55.0 |
| 06 02 | სოციალური დაცვა | 404.3 |
| 06 02 01 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 125.0 |
| 06 02 02 | შეზღუდული შესაძლებლობის პირთა სოციალური დაცვა | 25.2 |
| 06 02 03 | ობოლი ბავშვების, მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვის შეძენასთნ დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები | 95.8 |
| 06 02 04 | ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯი | 0.5 |
| 06 02 05 | სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალური დაცვა | 75.6 |
| 06 02 06 | 9 და 26 მაისის, 8 მარტის, 17 ოქტომბერის და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებით ვეტერანთა ერთჯერადი დახმარება | 5.5 |
| 02 06 07 | არასაპენსიო ასაკის შშმ პირების, სამამულო ომის ვეტერანებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და ინვალიდთა ოჯახების სოციალური დახმარების ღონისძიებები | 2.0 |
| 02 06 08 | ას წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ღონისძიებები | 4.3 |
| 02 06 09 | ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარება | 67.4 |
| 02 06 10 | მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა | 3.0 |

5.1. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება ( პროგრამული კოდი 06 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**: საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დავის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს

კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება; ი) კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის დიაგნოსტიკის ხელშეწყობა. **პროგრამის მიზანია:** მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება

**5.2. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ავადმყოფთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 01)**

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური**

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**: 1. ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევა მოქალაქეებს, თუ ისინი აუცილებლად საჭიროებენ სამედიცინო დიაგნოსტიკურ კვლევებს, სტაციონარში მედიკამენტურ მკურნალობას ან/და სასწრაფო ოპერაციას და მათი აღნიშნული მკურნალობის ხარჯებს სრულად არ ფარავს ჯანდაცვის არცერთი პროგრამა. დახმარების გაწევა მოხდება შემდეგნაირად: ა) მოქალაქეს, რომლის ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში შეადგენს 0-დან 70 001-მდე, აუნაზღაურდება წარმოდგენილი თანხის 80% პროცენტი, მაგრამ არაუმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარისა; ბ) მოქალაქეს, რომლის ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში შეადგენს 70 001-დან 150 001-მდე, აუნაზღაურდება წარმოდგენილი თანხის 60% პროცენტი, მაგრამ არაუმეტეს 1200 (ერთიათას ორასი) ლარისა; გ) მოქალაქეს, რომელზეც არ ვრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეღავათი, აუცილებლობის შემთხვევაში, მერის წარმომადგენლის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, აუნაზღაურდება წარმოდგენილი თანხის 50% პროცენტი, მაგრამ არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარისა; 2. ჰემოდიალიზის კომპონენტის მოსარგებლეთა დახმარება გაიცემა ყოველთვიურად წლის განმავლობაში თვეში 200 (ორასი) ლარი; 3. მედიკამენტით უზრუნველყოფისთვის ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტებზე ერთჯერადად გაიცემა არა უმეტეს 200 (ორასი) ლარისა; ქვეპროგრამის მიზანია პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ფინანსური დახმარება.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** ფინანსური დახმარების მიმღებ ბენეფიციართა გაზრდილი რაოდენობა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით

**5.3. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი შეზღუდული შესაძლებლობის პირთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 02)**

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური**

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**: 1. არასაპენსიო ასაკის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე ერთჯერადი დახმარება გაიცემა, ცერებრალური დამბლის, დაუნის სინდრომის, აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე, ტეტრაპლეგიის, ჰემიპლეგიის, პარაპლეგიის, მკვეთრად გამოხატული ტეტრაპარეზის, მკვეთრად გამოხატული პარაპარეზის, მკვეთრად გამოხატული ჰემიპარეზის გამო მყარი ნარჩენი მოვლენების, გონებრივი ჩამორჩენის, ეპილეფსიის, ფსიქიკური პრობლემების, III–IV ხარისხის სკოლიოზის, ორმხრივი ნეიროსენსორული (IV ხარისხის) სმენაჩლუნგობის და ინვალიდობის ეტლის საჭიროების მქონე პირებს, რომელთაც არ შეუძლიათ სრულფასოვნად ჩაერთონ საზოგადოებრივ საქმიანობაში ან იცხოვრონ ცხოვრების ჩვეულებრივი წესით, წლის განმავლობაში 300 (სამასი) ლარის ოდენებით;

2. აგრეთვე ფინანსური დახმარება გაეწევათ საახალწლო-საშობაოდ 150 (ასორმოცდაათი) ლარი.

3. 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებზე ერთჯერადი დახმარება გაეწევათ შემდეგნაირად: რეაბილიტაცია აბილიტაცია

არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარისა; 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით 150 (ასორმოცდაათი) ლარი, საახალწლო-საშობაოდ 150 (ასორმოცდაათი) ლარი, თუ მათზე არ ვრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ქვეპუნქტის მოქმედება.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** ფინანსური დახმარების მიმღებ ბენეფიციართა გაზრდილი რაოდენობა ფინანსური რისკების შემცირების მიზნით

**5.4. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ობოლი ბავშვების, მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვის შეძენასთნ დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02 03)**

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური**

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**: ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში მატერიალური დახმარება გაეწევა: 1. ახალშობილის შეძენასთან დაკავშირებით ოჯახებს პირველი შვილ(ებ)ის შეძენაზე; - 350 (სამას ორმოცდაათი) ლარის, მეორე შვილის შეძენაზე - 400 (ოთხასი) ლარი:

2. წლის განმავლობაში ერთჯერადად მრავალშვილიან ოჯახებზე გაიცემა სამშვილიან ოჯახზე - 200 (ორასი) ლარი, ოთხშვილიან ოჯახზე -300 (სამასი) ლარი, ხუთშვილიან ოჯახზე 350 (სამას ორმოცდაათი) ლარი; ექვს და მეტშვილიან ოჯახზე - 400 (ოთხასი) ლარი.

3. მრავაშვილიან (სამი და მეტი შვილი) ოჯახებზე საახალწლო საშობაოდ გაიცემა 150 (ასორმოცდაათი) ლარი.

4. მარჩენალდაკარგულ, ობოლ და მშობელთა მზრუნველობა მოკლებულ ბავშვებზე დახმარება გაიცემა წელიწადში სამჯერ: სასწავლო წლის დაწყებისთვის 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით, აღდგომის დღესასწაულზე და საახალწლო საშობაოდ ოჯახზე 150 (ასორმოცდაათი) ლარი.

5. მარტოხელა მშობელზე წლის განმავლობაში ერთჯერადად გაიცემა 200 (ორასი) ლარი, ხოლო აღდგომის დღესასწაულზე და საახალწლო საშობაოდ ოჯახზე 150 (ასორმოცდაათი) ლარი.

6. მძიმე სოციალური პირობების მქონე უსახლკარო ოჯახებს, რომელთაც არ გააჩნიათ საცხოვრებელი ფართი ან თავშესაფარი და ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს. საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, მათზე გაიცემა ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინის ქირის კომპენსაცია, არაუმეტეს თვეში 400 (ოთხასი) ლარისა;

7. სოციალურად დაუცველ მარტოხელა პირებზე/ოჯახებზე, (გარდა შრომის უნარიან პირისა) რომელთა სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 57 001-ს, და არ გააჩნია ფინანსური შესაძლებლობა ზამთრის თბობისათვის გაიცემა ერთჯერადი ფულადი დახმარება ოჯახზე 300 (სამასი) ლარი.

8. 18 წლამდე მრავალშვილიან (ოთხი და მეტი შვილი) დედებს, 3 მარტს დედის დღესთან დაკავშირებით გადაეცემა სასურსათო პაკეტი / კალათა 100 (ასი) ლარის ფარგლებში;

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** ფინანსური დახმარების მიმღებ ბენეფიციართა გაზრდილი რაოდენობა ფინანსური რისკების შემცირების მიზნით

**5.5. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ვეტერანთა დაკრძალვის ღონისძიებები ( პროგრამული კოდი 06 02 04)**

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური**

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ ვეტერანთა (ომის მონაწილე) გარდაცვალების შემთხვევაში მათ ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური

დახმარება გაიცემა 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით სარიტუალო ხარჯებისათვის. **ქვეპროგრამის მიზანია:** გრდაცვლილი ომის ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების დახმარება.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** გარდაცვლილი ომის ვეტერანის ოჯახისათვის ფინანსური დახმარება

**5.6. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 05)**

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური**

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:** სტიქიური მოვლენების დროს ხანძარი, მეწყერი, წყალდიდობა, გრიგალი, ღვარცოფი, დიდთოვლობა, რომელთაც გაუნადგურდათ ან მნიშვნელოვნად დაუზიანდათ საცხოვრებელი სახლი თითოეულ ოჯახზე გაიცემა ერთჯერადი ფინანსური დახმარება არაუმეტეს 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით. **ქვეპროგრამის მიზანია:** სტიქიით დაზარალებული ოჯახების ფინანსური დახმარება.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** დაზარალებული ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და ფინანსური მხარდაჭერა

**5.7. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი 8 მარტის, 9 და 26 მაისის, 17 ოქტომბერის და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებით ვეტერანთა ერთჯერადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 06)**

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური**

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:** ქვეპროგრამის ფარგლებში მატერიალური დახმარება გაეწევა: 1. სამშობლოს წინაშე ღვაწლმოსილ პირებს, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით, კერძოდ: 9 მაისსთან დაკავშირებით - II მსოფლიო ომის ვეტერანებს 200 (ორასი) ლარის ოდენობით; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში მონაწილე ქალებზე 8 მარტს - ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით (ასეთების არსებობის შემთხვევაში) -200 (ორასი) ლარის ოდენობით; 26 მაისს საქ. ტერ. მთ. ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახის წევრებსა და დაინვალიდებულ ვეტერანებს - 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით, 17 ოქტომბერს ომის ვეტერანთა დღის აღსანიშნავად სოციალურად დაუცველ ომის ვეტერანებს - 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით, ახალ წელთან დაკავშირებით - საქ. ტერ. მთ. ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახის წევრებსა და დაინვალიდებულ ვეტერანებს, II მსოფლიო ომის ვეტერანებს - 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით. 2. ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ომის ვეტერანების, საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებულ პირთა და ბრძოლის დროს დაღუპულ მეომართა ოჯახების აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით გადაეცემა სასურსათო პაკეტი /კალათა 100 (ასი) ლარის ფარგლებში; **ქვეპროგრამის მიზანია:** მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის ფინანსური რისკების შემცირება.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** ფინანსური დახმარების მიმღებ ბენეფიციართა გაზრდილი რაოდენობა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით

**5.8. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი არასაპენსიო ასაკის შშმ პირების, სამამულო ომის ვეტერანებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და ინვალიდთა ოჯახების სოციალური დახმარების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02 07)**

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური**

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:** ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები: არასაპენსიო ასაკის შშმ პირების, მათ შორის შშმ სტატუსის ბავშვების; ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ომის ვეტერანების მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, მარჩენალ დაკარგულების და აფხაზეთიდან და ცხინვალიდან დევნილი ოჯახების ყოველთვიურად წყლისა და კანალიზაციის საფასურის (ერთეულის ფასი - 50 თეთრი) და დასუფთავების მოსაკრებლის საფასურის (ერთეულის ფასი - 50 თეთრი) გადასახადით უზრუნველყოფა.

**ქვეპროგრამის მიზანია:** მოწყვლადი ჯგუფების ძირითადი კომუნალური მომსახურებით უზრუნველყოფა.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** მოწყვლადი ჯგუფები უზრუნველყოფილნი არიან ძირითადი კომუნალური სერვისებით.

**5.9. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ას წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02 08)**

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი:** ონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:** მუნიციპალიტეტში მცხოვრები 100 წლის და 100 წელს გადაცილებული მოქალაქეების სოციალური დახმარება, თითოეულზე 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით; 95 და მეტი ასაკის მოქალაქეებზე 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით; უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯი, რომელსაც არ ჰყავს პირველი და მეორე რიგის მემკვიდრე გაიცემა 300 (სამასი) ლარის ოდენობით; 95 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეებზე აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით გადაეცემა სასურსათო პაკეტი/კალათა 100 (ასი) ლარის ფარგლებში. **ქვეპროგრამის მიზანია:** ხანდაზმულ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ღონისძიებების დაფინანსება.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** ხანდაზმულ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ღონისძიებების დაფინანსება

**5.10. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 09)**

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი:** ონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:** გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და ფინანსური მხარდაჭერა. **ქვეპროგრამის მიზანია:** ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფილი მოსახლეობა.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და ფინანსური მხარდაჭერა.

**5.11. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ბავშვების უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 10)**

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი:** ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის საქმსახური

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი**: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსური დახმარება გაეწევა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სოციალური საფრთხის წინაშე (შშმ, სსსმ, დანაშაულის ან/და ძალადობის მსხვერპლი, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვი, მშობელთა ზრუნვის გარეშე დარჩენილი, უსახლკარო ან/და მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მქონე, ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის მქონე) მყოფ ბავშვებს. **ქვეროგრამის მიზანია:** ბავშვის უფლებების დაცვა და მხარდაჭერა, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების უზრუნველყოფა მატერიალური და არამატერიალური (სოციალური, იურიდიული, სამედიცინო, ფსიქოლოგიური, საგანმანათლებლო და სხვ.) დახმარების გზით.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:** სოციალური საფრთის წინაშე მყოფლი ბავშვების გამოვლენა და მხარდაჭერა.

**6. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 01 00)**

პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ოგანოების და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსება.

*ათას ლარში*

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | 2023 წლის პროექტი |
|---|---|---|
| 01 00 | **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები** | **3,589.9** |
| 01 01 | საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა | 3,490.4 |
| 01 01 01 | ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 973.8 |
| 01 01 02 | ონის მუნიციპალიტეტის მერია | 2,403.7 |
| 01 01 03 | სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური | 113.0 |
| 01 02 | საერთო დანიშნულების ხარჯები | 99.5 |
| 01 02 01 | სარეზერვო ფონდი | 50.5 |
| 01 02 02 | წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა | 43.5 |
| 01 02 03 | ასოცირებული საწევრო გადასახადი | 5.5 |

**მუხლი 14. პრიორიტეტების /პროგრამების/ ქვეპროგრამების მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორები**

ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტებით/პროგრამებით/ქვეპროგრამებით მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორები ინფორმაციული ხასიათისაა და პროგრამულ ბიუჯეტს დანართის სახით არ ახლავს.

## თავი III
## ონის ბიუჯეტის ასიგნებები

## მუხლი 15. ბიუჯეტის ასიგნებები

ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

*ათას ლარში*

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის ფაქტი | | | 2023 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| | ონის მუნიციპალიტეტი | 17,431.5 | 21,455.7 | 13,360.9 | 8,094.8 | 20,169.9 | 9,193.2 | 10,976.7 |
| | მომუშავეთა რიცხოვნება | 125 | 134 | 0 | 134 | 137 | 0 | 137 |
| | ხარჯები | 4,272.2 | 6,341.5 | 491.6 | 5,849.8 | 8,035.5 | 632.4 | 7,403.1 |
| | შრომის ანაზღაურება | 1,255.7 | 2,107.0 | 0.0 | 2,107.0 | 2,500.6 | 0.0 | 2,500.6 |
| | საქონელი და მომსახურება | 1,543.4 | 2,513.9 | 431.7 | 2,082.2 | 2,946.0 | 565.0 | 2,381.027 |
| | პროცენტები | 28.8 | 27.5 | 0.0 | 27.5 | 27.0 | 0.0 | 27.0 |
| | სუბსიდიები | 901.1 | 1,196.2 | 0.0 | 1,196.2 | 1,838.0 | 0.0 | 1,838.0 |
| | გრანტები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 25.0 | 0.0 | 25.0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 148.2 | 271.2 | 53.0 | 218.2 | 270.5 | 60.8 | 209.7 |
| | სხვა ხარჯები | 372.2 | 225.6 | 6.9 | 218.7 | 428.3 | 6.6 | 421.7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 13,103.7 | 15,058.6 | 12,869.2 | 2,189.4 | 12,078.9 | 8,560.819 | 3,518.033 |
| | ვალდებულებების კლება | 55.6 | 55.6 | 0.0 | 55.6 | 55.6 | 0.0 | 55.6 |
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 1,940.1 | 2,991.4 | 0.0 | 2,991.4 | 3,589.9 | 0.0 | 3,589.9 |
| | მომუშავეთა რიცხოვნება | 125 | 134 | 0 | 134 | 137 | 0 | 137 |
| | ხარჯები | 1,880.1 | 2,921.0 | 0.0 | 2,921.0 | 3,485.5 | 0.0 | 3,485.5 |
| | შრომის ანაზღაურება | 1,255.7 | 2,107.0 | 0.0 | 2,107.0 | 2,500.6 | 0.0 | 2,500.6 |
| | საქონელი და მომსახურება | 499.4 | 643.2 | 0.0 | 643.2 | 786.4 | 0.0 | 786.4 |
| | პროცენტები | 28.8 | 27.5 | 0.0 | 27.5 | 27.0 | 0.0 | 27.0 |
| | სუბსიდიები | 20.0 | 20.0 | 0.0 | 20.0 | 20.0 | 0.0 | 20.0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 7.2 | 20.2 | 0.0 | 20.2 | 15.1 | 0.0 | 15.1 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სხვა ხარჯები | 69.2 | 103.0 | 0.0 | 103.0 | 136.4 | 0.0 | 136.4 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 4.4 | 14.8 | 0.0 | 14.8 | 48.8 | 0.0 | 48.8 |
| | ვალდებულებების კლება | 55.6 | 55.6 | 0.0 | 55.6 | 55.6 | 0.0 | 55.6 |
| 01 01 | საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა | 1,934.6 | 2,985.9 | 0.0 | 2,985.9 | 3,490.4 | 0.0 | 3,490.4 |
| | მომუშავეთა რიცხოვნება | 125 | 134 | 0 | 134 | 137 | 0 | 137 |
| | ხარჯები | 1,874.6 | 2,915.6 | 0.0 | 2,915.6 | 3,413.9 | 0.0 | 3,413.9 |
| | შრომის ანაზღაურება | 1,255.7 | 2,107.0 | 0.0 | 2,107.0 | 2,500.6 | 0.0 | 2,500.6 |
| | საქონელი და მომსახურება | 493.9 | 637.8 | 0.0 | 637.8 | 780.9 | 0.0 | 780.9 |
| | პროცენტები | 28.8 | 27.5 | 0.0 | 27.5 | 11.3 | 0.0 | 11.3 |
| | სუბსიდიები | 20.0 | 20.0 | 0.0 | 20.0 | 20.0 | 0.0 | 20.0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 7.2 | 20.2 | 0.0 | 20.2 | 15.1 | 0.0 | 15.1 |
| | სხვა ხარჯები | 69.2 | 103.0 | 0.0 | 103.0 | 85.9 | 0.0 | 85.9 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 4.4 | 14.8 | 0.0 | 14.8 | 48.8 | 0.0 | 48.8 |
| | ვალდებულებების კლება | 55.6 | 55.6 | 0.0 | 55.6 | 27.8 | 0.0 | 27.8 |
| 01 01 01 | ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 468.5 | 850.9 | 0.0 | 850.9 | 973.8 | 0.0 | 973.8 |
| | მომუშავეთა რიცხოვნება | 28 | 30 | 0 | 30 | 30 | 0 | 30 |
| | ხარჯები | 468.5 | 849.3 | 0.0 | 849.3 | 966.9 | 0.0 | 966.9 |
| | შრომის ანაზღაურება | 339.8 | 699.0 | 0.0 | 699.0 | 795.1 | 0.0 | 795.1 |
| | საქონელი და მომსახურება | 66.7 | 75.8 | 0.0 | 75.8 | 92.6 | 0.0 | 92.6 |
| | სხვა ხარჯები | 62.0 | 74.6 | 0.0 | 74.6 | 79.2 | 0.0 | 79.2 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 1.6 | 0.0 | 1.6 | 6.9 | 0.0 | 6.9 |
| 01 01 02 | ონის მუნიციპალიტეტის მერია | 1,395.5 | 2,038.0 | 0.0 | 2,038.0 | 2,403.7 | 0.0 | 2,403.7 |
| | მომუშავეთა რიცხოვნება | 91 | 98 | 0 | 98 | 101 | 0 | 101 |
| | ხარჯები | 1,335.5 | 1,969.3 | 0.0 | 1,969.3 | 2,334.0 | 0.0 | 2,334.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 857.0 | 1,324.1 | 0.0 | 1,324.1 | 1,613.0 | 0.0 | 1,613.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 415.5 | 548.9 | 0.0 | 548.9 | 667.9 | 0.0 | 667.9 |
| | პროცენტები | 28.8 | 27.5 | 0.0 | 27.5 | 11.3 | 0.0 | 11.3 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სუბსიდიები | 20.0 | 20.0 | 0.0 | 20.0 | 20.0 | 0.0 | 20.0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 7.2 | 20.2 | 0.0 | 20.2 | 15.1 | 0.0 | 15.1 |
| | სხვა ხარჯები | 7.2 | 28.5 | 0.0 | 28.5 | 6.7 | 0.0 | 6.7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 4.4 | 13.1 | 0.0 | 13.1 | 41.9 | 0.0 | 41.9 |
| | ვალდებულებების კლება | 55.6 | 55.6 | 0.0 | 55.6 | 27.8 | 0.0 | 27.8 |
| 01 01 03 | სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური | 70.6 | 97.0 | 0.0 | 97.0 | 113.0 | 0.0 | 113.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნება | 6 | 6 | 0 | 6 | 6 | 0 | 6 |
| | ხარჯები | 70.6 | 97.0 | 0.0 | 97.0 | 113.0 | 0.0 | 113.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 58.9 | 83.9 | 0.0 | 83.9 | 92.6 | 0.0 | 92.6 |
| | საქონელი და მომსახურება | 11.7 | 13.1 | 0.0 | 13.1 | 20.4 | 0.0 | 20.4 |
| 01 02 | საერთო დანიშნულების ხარჯები | 5.5 | 5.4 | 0.0 | 5.4 | 99.5 | 0.0 | 99.5 |
| | ხარჯები | 5.5 | 5.4 | 0.0 | 5.4 | 71.7 | 0.0 | 71.7 |
| | საქონელი და მომსახურება | 5.5 | 5.4 | 0.0 | 5.4 | 5.5 | 0.0 | 5.5 |
| | პროცენტები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 15.7 | 0.0 | 15.7 |
| | სხვა ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 50.5 | 0.0 | 50.5 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 27.8 | 0.0 | 27.8 |
| 01 02 01 | სარეზერვო ფონდი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 50.5 | 0.0 | 50.5 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 50.5 | 0.0 | 50.5 |
| | სხვა ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 50.5 | 0.0 | 50.5 |
| 01 02 02 | წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 43.5 | 0.0 | 43.5 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 15.7 | 0.0 | 15.7 |
| | პროცენტები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 15.7 | 0.0 | 15.7 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 27.8 | 0.0 | 27.8 |
| 01 02 03 | ასოცირებული საწევრო გადასახადი | 5.5 | 5.4 | 0.0 | 5.4 | 5.5 | 0.0 | 5.5 |
| | ხარჯები | 5.5 | 5.4 | 0.0 | 5.4 | 5.5 | 0.0 | 5.5 |
| | საქონელი და მომსახურება | 5.5 | 5.4 | 0.0 | 5.4 | 5.5 | 0.0 | 5.5 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 13,206.9 | 15,856.0 | 12,952.6 | 2,903.4 | 13,398.8 | 8,954.2 | 4,444.6 |
| | ხარჯები | 665.4 | 1,048.5 | 265.3 | 783.2 | 1,389.4 | 393.3 | 996.1 |
| | საქონელი და მომსახურება | 523.1 | 968.5 | 263.6 | 705.0 | 1,212.1 | 393.3 | 818.8 |
| | სუბსიდიები | 0.0 | 30.0 | 0.0 | 30.0 | 150.0 | 0.0 | 150.0 |
| | სხვა ხარჯები | 142.3 | 49.9 | 1.7 | 48.2 | 27.3 | 0.0 | 27.3 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 12,541.5 | 14,807.5 | 12,687.3 | 2,120.2 | 12,009.4 | 8,560.8 | 3,448.6 |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 2,878.3 | 5,905.9 | 5,000.9 | 905.1 | 3,518.6 | 2,833.4 | 685.2 |
| | ხარჯები | 119.3 | 331.8 | 0.0 | 331.8 | 321.9 | 0.0 | 321.9 |
| | საქონელი და მომსახურება | 119.3 | 331.8 | 0.0 | 331.8 | 321.9 | 0.0 | 321.9 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2,759.0 | 5,574.1 | 5,000.9 | 573.2 | 3,196.7 | 2,833.4 | 363.3 |
| 02 01 01 | გზების კაპიტალური შეკეთება | 2,711.5 | 5,551.8 | 5,000.9 | 551.0 | 3,180.2 | 2,833.4 | 346.8 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2,711.5 | 5,551.8 | 5,000.9 | 551.0 | 3,180.2 | 2,833.4 | 346.8 |
| 02 01 02 | გზების მიმდინარე შეკეთება | 119.3 | 331.8 | 0.0 | 331.8 | 329.4 | 0.0 | 329.4 |
| | ხარჯები | 119.3 | 331.8 | 0.0 | 331.8 | 321.9 | 0.0 | 321.9 |
| | საქონელი და მომსახურება | 119.3 | 331.8 | 0.0 | 331.8 | 321.9 | 0.0 | 321.9 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 7.5 | 0.0 | 7.5 |
| 02 01 03 | საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება | 47.5 | 22.2 | 0.0 | 22.2 | 9.0 | 0.0 | 9.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 47.5 | 22.2 | 0.0 | 22.2 | 9.0 | 0.0 | 9.0 |
| 02 02 | წყლის სისტემის განვითარება | 488.9 | 689.8 | 499.4 | 190.4 | 432.0 | 79.4 | 352.6 |
| | ხარჯები | 21.5 | 53.6 | 0.0 | 53.6 | 154.8 | 0.0 | 154.8 |
| | საქონელი და მომსახურება | 21.5 | 53.6 | 0.0 | 53.6 | 4.8 | 0.0 | 4.8 |
| | სუბსიდიები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 150.0 | 0.0 | 150.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 467.3 | 636.3 | 499.4 | 136.8 | 277.1 | 79.4 | 197.7 |
| 02 02 01 | წყლის სისტემების რეაბილიტაცია | 467.3 | 636.3 | 499.4 | 136.8 | 282.0 | 79.4 | 202.6 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 4.8 | 0.0 | 4.8 |
| | საქონელი და მომსახურება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 4.8 | 0.0 | 4.8 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 467.3 | 636.3 | 499.4 | 136.8 | 277.1 | 79.4 | 197.7 |
| 02 02 02 | ა(ა)იპ ონის მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა- | 21.5 | 53.6 | 0.0 | 53.6 | 150.0 | 0.0 | 150.0 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შენახვის ცენტრი | | | | | | | |
| | ხარჯები | 21.5 | 53.6 | 0.0 | 53.6 | 150.0 | 0.0 | 150.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 21.5 | 53.6 | 0.0 | 53.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | სუბსიდიები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 150.0 | 0.0 | 150.0 |
| 02 03 | გარე განათება | 250.0 | 270.8 | 0.0 | 270.8 | 370.6 | 0.0 | 370.6 |
| | ხარჯები | 249.0 | 266.4 | 0.0 | 266.4 | 320.0 | 0.0 | 320.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 249.0 | 266.4 | 0.0 | 266.4 | 320.0 | 0.0 | 320.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1.0 | 4.4 | 0.0 | 4.4 | 50.6 | 0.0 | 50.6 |
| 02 03 01 | გარე განათება ქსელის ექსპლოატაცია | 249.0 | 266.4 | 0.0 | 266.4 | 320.0 | 0.0 | 320.0 |
| | ხარჯები | 249.0 | 266.4 | 0.0 | 266.4 | 320.0 | 0.0 | 320.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 249.0 | 266.4 | 0.0 | 266.4 | 320.0 | 0.0 | 320.0 |
| 02 03 01 01 | გარე განათების ქსელის ექსლოატაცია | 50.0 | 55.0 | 0.0 | 55.0 | 80.0 | 0.0 | 80.0 |
| | ხარჯები | 50.0 | 55.0 | 0.0 | 55.0 | 80.0 | 0.0 | 80.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 50.0 | 55.0 | 0.0 | 55.0 | 80.0 | 0.0 | 80.0 |
| 02 03 01 02 | გარე განათება ელექტროენერგიის ხარჯი | 199.0 | 211.5 | 0.0 | 211.5 | 240.0 | 0.0 | 240.0 |
| | ხარჯები | 199.0 | 211.5 | 0.0 | 211.5 | 240.0 | 0.0 | 240.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 199.0 | 211.5 | 0.0 | 211.5 | 240.0 | 0.0 | 240.0 |
| 02 03 02 | კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში | 1.0 | 4.4 | 0.0 | 4.4 | 50.6 | 0.0 | 50.6 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1.0 | 4.4 | 0.0 | 4.4 | 50.6 | 0.0 | 50.6 |
| 02 04 | მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია | 344.0 | 1,199.6 | 1,042.4 | 157.3 | 1,584.8 | 954.8 | 630.1 |
| | ხარჯები | 157.2 | 48.2 | 0.0 | 48.2 | 31.9 | 0.0 | 31.9 |
| | საქონელი და მომსახურება | 16.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 4.7 | 0.0 | 4.7 |
| | სხვა ხარჯები | 140.7 | 48.2 | 0.0 | 48.2 | 27.3 | 0.0 | 27.3 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 186.9 | 1,151.4 | 1,042.4 | 109.0 | 1,552.9 | 954.8 | 598.1 |
| 02 04 01 | საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია | 140.7 | 48.2 | 0.0 | 48.2 | 27.3 | 0.0 | 27.3 |
| | ხარჯები | 140.7 | 48.2 | 0.0 | 48.2 | 27.3 | 0.0 | 27.3 |
| | სხვა ხარჯები | 140.7 | 48.2 | 0.0 | 48.2 | 27.3 | 0.0 | 27.3 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02 04 02 | მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია | 203.3 | 1,151.4 | 1,042.4 | 109.0 | 1,557.6 | 954.8 | 602.8 |
| | ხარჯები | 16.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 4.7 | 0.0 | 4.7 |
| | საქონელი და მომსახურება | 16.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 4.7 | 0.0 | 4.7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 186.9 | 1,151.4 | 1,042.4 | 109.0 | 1,552.9 | 954.8 | 598.1 |
| 02 05 | კეთილმოწყობის ღონისძიებები | 2,470.9 | 1,892.1 | 1,547.6 | 344.5 | 2,899.2 | 1,778.8 | 1,120.4 |
| | ხარჯები | 0.0 | 13.1 | 0.0 | 13.1 | 2.2 | 0.0 | 2.2 |
| | საქონელი და მომსახურება | 0.0 | 13.1 | 0.0 | 13.1 | 2.2 | 0.0 | 2.2 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2,470.9 | 1,879.0 | 1,547.6 | 331.4 | 2,897.0 | 1,778.8 | 1,118.2 |
| 02 05 01 | საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია | 2,470.9 | 1,892.1 | 1,547.6 | 344.5 | 2,899.2 | 1,778.8 | 1,120.4 |
| | ხარჯები | 0.0 | 13.1 | 0.0 | 13.1 | 2.2 | 0.0 | 2.2 |
| | საქონელი და მომსახურება | 0.0 | 13.1 | 0.0 | 13.1 | 2.2 | 0.0 | 2.2 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2,470.9 | 1,879.0 | 1,547.6 | 331.4 | 2,897.0 | 1,778.8 | 1,118.2 |
| 02 06 | საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა | 619.9 | 529.4 | 35.9 | 493.5 | 743.5 | 40.0 | 703.5 |
| | ხარჯები | 1.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 54.5 | 40.0 | 14.5 |
| | საქონელი და მომსახურება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 54.5 | 40.0 | 14.5 |
| | სხვა ხარჯები | 1.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 618.3 | 529.4 | 35.9 | 493.5 | 689.0 | 0.0 | 689.0 |
| 02 07 | სოფლის პროგრამის მხარდაჭერა | 651.3 | 750.4 | 654.2 | 96.2 | 748.0 | 648.0 | 100.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 651.3 | 750.4 | 654.2 | 96.2 | 748.0 | 648.0 | 100.0 |
| 02 08 | სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 5,279.7 | 4,172.6 | 3,906.9 | 265.7 | 2,132.4 | 1,986.8 | 145.6 |
| | ხარჯები | 112.2 | 40.0 | 0.0 | 40.0 | 30.0 | 0.0 | 30.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 112.2 | 40.0 | 0.0 | 40.0 | 30.0 | 0.0 | 30.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 5,167.5 | 4,132.6 | 3,906.9 | 225.7 | 2,102.4 | 1,986.8 | 115.6 |
| 02 09 | მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება | 224.1 | 180.0 | 0.0 | 180.0 | 590.5 | 274.8 | 315.7 |
| | ხარჯები | 4.7 | 30.0 | 0.0 | 30.0 | 99.7 | 0.0 | 99.7 |
| | საქონელი და მომსახურება | 4.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 99.7 | 0.0 | 99.7 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საქონელი და მომსახურება | 4.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 99.7 | 0.0 | 99.7 |
| | სუბსიდიები | 0.0 | 30.0 | 0.0 | 30.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 219.4 | 150.0 | 0.0 | 150.0 | 490.8 | 274.8 | 216.0 |
| 02 10 | ეკონომიკური განვითარება ბიზნეს კალსტერების შექმნის და ინვესტიციების მოზიდვის გზით | 0.0 | 265.3 | 265.3 | 0.0 | 379.2 | 358.2 | 21.0 |
| | ხარჯები | 0.0 | 265.3 | 265.3 | 0.0 | 374.4 | 353.3 | 21.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 0.0 | 263.6 | 263.6 | 0.0 | 374.4 | 353.3 | 21.0 |
| | სხვა ხარჯები | 0.0 | 1.7 | 1.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 4.8 | 4.8 | 0.0 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 398.4 | 577.2 | 0.0 | 577.2 | 785.2 | 0.0 | 785.2 |
| | ხარჯები | 398.4 | 552.2 | 0.0 | 552.2 | 775.3 | 0.0 | 775.3 |
| | საქონელი და მომსახურება | 398.4 | 552.2 | 0.0 | 552.2 | 675.3 | 0.0 | 675.3 |
| | სუბსიდიები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 100.0 | 0.0 | 100.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 25.0 | 0.0 | 25.0 | 9.9 | 0.0 | 9.9 |
| 03 01 | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | 348.3 | 525.0 | 0.0 | 525.0 | 675.2 | 0.0 | 675.2 |
| | ხარჯები | 348.3 | 500.0 | 0.0 | 500.0 | 665.3 | 0.0 | 665.3 |
| | საქონელი და მომსახურება | 348.3 | 500.0 | 0.0 | 500.0 | 665.3 | 0.0 | 665.3 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 25.0 | 0.0 | 25.0 | 9.9 | 0.0 | 9.9 |
| 03 02 | ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახური | 40.1 | 42.2 | 0.0 | 42.2 | 100.0 | 0.0 | 100.0 |
| | ხარჯები | 40.1 | 42.2 | 0.0 | 42.2 | 100.0 | 0.0 | 100.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 40.1 | 42.2 | 0.0 | 42.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | სუბსიდიები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 100.0 | 0.0 | 100.0 |
| 03 03 | უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიებები | 10.0 | 10.0 | 0.0 | 10.0 | 10.0 | 0.0 | 10.0 |
| | ხარჯები | 10.0 | 10.0 | 0.0 | 10.0 | 10.0 | 0.0 | 10.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 10.0 | 10.0 | 0.0 | 10.0 | 10.0 | 0.0 | 10.0 |
| 04 00 | განათლება | 914.8 | 706.0 | 350.1 | 355.9 | 629.7 | 171.7 | 458.0 |
| | ხარჯები | 406.9 | 519.5 | 168.2 | 351.3 | 629.7 | 171.7 | 458.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 91.9 | 168.2 | 168.2 | 0.0 | 171.9 | 171.7 | 0.2 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სუბსიდიები | 292.1 | 351.3 | 0.0 | 351.3 | 450.0 | 0.0 | 450.0 |
| | სხვა ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 7.8 | 0.0 | 7.8 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 508.0 | 186.5 | 181.9 | 4.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 04 01 | სკოლამდელი განათლება | 292.1 | 351.3 | 0.0 | 351.3 | 450.0 | 0.0 | 450.0 |
| | ხარჯები | 292.1 | 351.3 | 0.0 | 351.3 | 450.0 | 0.0 | 450.0 |
| | სუბსიდიები | 292.1 | 351.3 | 0.0 | 351.3 | 450.0 | 0.0 | 450.0 |
| 04 02 | სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა | 442.4 | 91.9 | 87.3 | 4.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 442.4 | 91.9 | 87.3 | 4.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 04 03 | განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა | 88.5 | 94.6 | 94.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 22.9 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | სხვა ხარჯები | 22.9 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 65.6 | 94.6 | 94.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 04 04 | საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა | 91.9 | 168.2 | 168.2 | 0.0 | 171.7 | 171.7 | 0.0 |
| | ხარჯები | 91.9 | 168.2 | 168.2 | 0.0 | 171.7 | 171.7 | 0.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 91.9 | 168.2 | 168.2 | 0.0 | 171.7 | 171.7 | 0.0 |
| 04 05 | წარმატებული სტუდენტებისათვის მერის სტიპენდიის გაცემა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 8.0 | 0.0 | 8.0 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 8.0 | 0.0 | 8.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.2 | 0.0 | 0.2 |
| | სხვა ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 7.8 | 0.0 | 7.8 |
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი | 659.0 | 981.9 | 0.0 | 981.9 | 1,307.1 | 0.0 | 1,307.1 |
| | ხარჯები | 613.8 | 957.1 | 0.0 | 957.1 | 1,296.3 | 0.0 | 1,296.3 |
| | საქონელი და მომსახურება | 30.6 | 181.8 | 0.0 | 181.8 | 98.8 | 0.0 | 98.8 |
| | სუბსიდიები | 554.4 | 754.4 | 0.0 | 754.4 | 1,063.0 | 0.0 | 1,063.0 |
| | გრანტები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 25.0 | 0.0 | 25.0 |
| | სხვა ხარჯები | 28.8 | 20.9 | 0.0 | 20.9 | 109.5 | 0.0 | 109.5 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 45.1 | 24.8 | 0.0 | 24.824 | 10.8 | 0.0 | 10.8 |
| 05 01 | სპორტის  განვითარების ხელშეწყობა | 146.4 | 225.7 | 0.0 | 225.7 | 403.0 | 0.0 | 403.0 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | |
| | ხარჯები | 146.4 | 223.6 | 0.0 | 223.6 | 403.0 | 0.0 | 403.0 |
| | სუბსიდიები | 146.4 | 223.6 | 0.0 | 223.6 | 370.0 | 0.0 | 370.0 |
| | გრანტები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 25.0 | 0.0 | 25.0 |
| | სხვა ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 8.0 | 0.0 | 8.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 2.1 | 0.0 | 2.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 05 01 01 | ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი | 121.0 | 145.7 | 0.0 | 145.7 | 237.5 | 0.0 | 237.5 |
| | ხარჯები | 121.0 | 145.7 | 0.0 | 145.7 | 237.5 | 0.0 | 237.5 |
| | სუბსიდიები | 121.0 | 145.7 | 0.0 | 145.7 | 237.5 | 0.0 | 237.5 |
| 05 01 02 | ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი მამისონი | 25.4 | 80.0 | 0.0 | 80.0 | 132.5 | 0.0 | 132.5 |
| | ხარჯები | 25.4 | 77.9 | 0.0 | 77.9 | 132.5 | 0.0 | 132.5 |
| | სუბსიდიები | 25.4 | 77.9 | 0.0 | 77.9 | 132.5 | 0.0 | 132.5 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 2.1 | 0.0 | 2.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 05 01 03 | ა(ა)იპ „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბი - ამარანტები“ | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 25.0 | 0.0 | 25.0 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 25.0 | 0.0 | 25.0 |
| | გრანტები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 25.0 | 0.0 | 25.0 |
| 05 01 04 | წარმატებული სპორტსმენების დახმარება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 8.0 | 0.0 | 8.0 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 8.0 | 0.0 | 8.0 |
| | სხვა ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 8.0 | 0.0 | 8.0 |
| 05 02 | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 450.8 | 689.9 | 0.0 | 689.9 | 680.2 | 0.0 | 680.2 |
| | ხარჯები | 405.6 | 667.1 | 0.0 | 667.1 | 672.8 | 0.0 | 672.8 |
| | საქონელი და მომსახურება | 30.6 | 181.8 | 0.0 | 181.8 | 67.4 | 0.0 | 67.4 |
| | სუბსიდიები | 366.2 | 477.4 | 0.0 | 477.4 | 603.8 | 0.0 | 603.8 |
| | სხვა ხარჯები | 8.8 | 7.9 | 0.0 | 7.9 | 1.5 | 0.0 | 1.5 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 45.1 | 22.7 | 0.0 | 22.7 | 7.4 | 0.0 | 7.4 |
| 05 02 01 | სახელოვნებო სკოლის ხელშეწყობის ღონისძიებები | 87.8 | 101.1 | 0.0 | 101.1 | 149.5 | 0.0 | 149.5 |
| | ხარჯები | 84.1 | 101.1 | 0.0 | 101.1 | 148.1 | 0.0 | 148.1 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | |
| | სუბსიდიები | 84.1 | 101.1 | 0.0 | 101.1 | 148.1 | 0.0 | 148.1 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 3.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 1.4 | 0.0 | 1.4 |
| 05 02 01 01 | ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის ზურა ბაკურაძის სახელობის სამუსიკო სკოლა | 41.9 | 48.2 | 0.0 | 48.2 | 91.0 | 0.0 | 91.0 |
| | ხარჯები | 38.2 | 48.2 | 0.0 | 48.2 | 89.6 | 0.0 | 89.6 |
| | სუბსიდიები | 38.2 | 48.2 | 0.0 | 48.2 | 89.6 | 0.0 | 89.6 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 3.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 1.4 | 0.0 | 1.4 |
| 05 02 01 02 | ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა | 45.9 | 52.9 | 0.0 | 52.9 | 58.5 | 0.0 | 58.5 |
| | ხარჯები | 45.9 | 52.9 | 0.0 | 52.9 | 58.5 | 0.0 | 58.5 |
| | სუბსიდიები | 45.9 | 52.9 | 0.0 | 52.9 | 58.5 | 0.0 | 58.5 |
| 05 02 02 | კულტურის ცენტრის დაფინანსების ღონისძიებები | 135.7 | 188.3 | 0.0 | 188.3 | 229.4 | 0.0 | 229.4 |
| | ხარჯები | 128.7 | 188.3 | 0.0 | 188.3 | 229.4 | 0.0 | 229.4 |
| | სუბსიდიები | 128.7 | 188.3 | 0.0 | 188.3 | 229.4 | 0.0 | 229.4 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 7.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 05 02 03 | მუზეუმის ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები | 54.2 | 67.3 | 0.0 | 67.3 | 75.8 | 0.0 | 75.8 |
| | ხარჯები | 54.2 | 67.3 | 0.0 | 67.3 | 75.8 | 0.0 | 75.8 |
| | სუბსიდიები | 54.2 | 67.3 | 0.0 | 67.3 | 75.8 | 0.0 | 75.8 |
| 05 02 04 | ბიბლიოთეკის დაფინანსების ღონისძიებები | 73.6 | 80.0 | 0.0 | 80.0 | 97.5 | 0.0 | 97.5 |
| | ხარჯები | 68.8 | 80.0 | 0.0 | 80.0 | 93.5 | 0.0 | 93.5 |
| | სუბსიდიები | 68.8 | 80.0 | 0.0 | 80.0 | 93.5 | 0.0 | 93.5 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 4.8 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 4.0 | 0.0 | 4.0 |
| 05 02 05 | ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი | 32.2 | 40.6 | 0.0 | 40.6 | 52.0 | 0.0 | 52.0 |
| | ხარჯები | 29.0 | 40.6 | 0.0 | 40.6 | 52.0 | 0.0 | 52.0 |
| | სუბსიდიები | 29.0 | 40.6 | 0.0 | 40.6 | 52.0 | 0.0 | 52.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 3.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 05 02 06 | კულტურული ღონისძიებების დაფინანსება | 67.2 | 212.5 | 0.0 | 212.5 | 76.0 | 0.0 | 76.0 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ხარჯები | 40.9 | 189.7 | 0.0 | 189.7 | 74.0 | 0.0 | 74.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 30.6 | 181.8 | 0.0 | 181.8 | 67.4 | 0.0 | 67.4 |
| | სუბსიდიები | 1.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 5.0 | 0.0 | 5.0 |
| | სხვა ხარჯები | 8.8 | 7.9 | 0.0 | 7.9 | 1.5 | 0.0 | 1.5 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 26.3 | 22.7 | 0.0 | 22.7 | 2.0 | 0.0 | 2.0 |
| 05 03 | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | 20.0 | 13.0 | 0.0 | 13.0 | 100.0 | 0.0 | 100.0 |
| | ხარჯები | 20.0 | 13.0 | 0.0 | 13.0 | 100.0 | 0.0 | 100.0 |
| | სხვა ხარჯები | 20.0 | 13.0 | 0.0 | 13.0 | 100.0 | 0.0 | 100.0 |
| 05 04 | ახალგაზრდობის მხარდაჭერა | 41.8 | 53.4 | 0.0 | 53.4 | 123.9 | 0.0 | 123.9 |
| | ხარჯები | 41.8 | 53.4 | 0.0 | 53.4 | 120.5 | 0.0 | 120.5 |
| | საქონელი და მომსახურება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 31.3 | 0.0 | 31.3 |
| | სუბსიდიები | 41.8 | 53.4 | 0.0 | 53.4 | 89.2 | 0.0 | 89.2 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 3.4 | 0.0 | 3.4 |
| 05 04 01 | მოსწავლე ახალგაზრდობის ღონისძიებების დაფინანსება | 41.8 | 53.4 | 0.0 | 53.4 | 86.0 | 0.0 | 86.0 |
| | ხარჯები | 41.8 | 53.4 | 0.0 | 53.4 | 86.0 | 0.0 | 86.0 |
| | სუბსიდიები | 41.8 | 53.4 | 0.0 | 53.4 | 86.0 | 0.0 | 86.0 |
| 05 04 02 | ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების მხარდაჭერა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 37.9 | 0.0 | 37.9 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 34.5 | 0.0 | 34.5 |
| | საქონელი და მომსახურება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 31.3 | 0.0 | 31.3 |
| | სუბსიდიები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 3.2 | 0.0 | 3.2 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 3.4 | 0.0 | 3.4 |
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 312.4 | 343.2 | 58.2 | 285.0 | 459.3 | 67.4 | 391.9 |
| | ხარჯები | 307.7 | 343.2 | 58.2 | 285.0 | 459.3 | 67.4 | 391.9 |
| | საქონელი და მომსახურება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 1.5 | 0.0 | 1.5 |
| | სუბსიდიები | 34.7 | 40.5 | 0.0 | 40.5 | 55.0 | 0.0 | 55.0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 141.0 | 251.0 | 53.0 | 198.0 | 255.4 | 60.8 | 194.6 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სხვა ხარჯები | 132.0 | 51.7 | 5.2 | 46.5 | 147.4 | 6.6 | 140.8 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 4.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 01 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 39.4 | 40.5 | 0.0 | 40.5 | 55.0 | 0.0 | 55.0 |
| | ხარჯები | 34.7 | 40.5 | 0.0 | 40.5 | 55.0 | 0.0 | 55.0 |
| | სუბსიდიები | 34.7 | 40.5 | 0.0 | 40.5 | 55.0 | 0.0 | 55.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 4.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 02 | სოციალური დაცვა | 273.0 | 302.7 | 58.2 | 244.5 | 404.3 | 67.4 | 336.9 |
| | ხარჯები | 273.0 | 302.7 | 58.2 | 244.5 | 404.3 | 67.4 | 336.9 |
| | საქონელი და მომსახურება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 1.5 | 0.0 | 1.5 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 141.0 | 251.0 | 53.0 | 198.0 | 255.4 | 60.8 | 194.6 |
| | სხვა ხარჯები | 132.0 | 51.7 | 5.2 | 46.5 | 147.4 | 6.6 | 140.8 |
| 06 02 01 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 89.5 | 114.8 | 0.0 | 114.8 | 125.0 | 0.0 | 125.0 |
| | ხარჯები | 89.5 | 114.8 | 0.0 | 114.8 | 125.0 | 0.0 | 125.0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 82.5 | 103.2 | 0.0 | 103.2 | 100.0 | 0.0 | 100.0 |
| | სხვა ხარჯები | 7.0 | 11.6 | 0.0 | 11.6 | 25.0 | 0.0 | 25.0 |
| 06 02 02 | შეზღუდული შესაძლებლობის პირთა სოციალური დაცვა | 16.4 | 17.1 | 0.0 | 17.1 | 25.2 | 0.0 | 25.2 |
| | ხარჯები | 16.4 | 17.1 | 0.0 | 17.1 | 25.2 | 0.0 | 25.2 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 13.1 | 13.9 | 0.0 | 13.9 | 18.0 | 0.0 | 18.0 |
| | სხვა ხარჯები | 3.3 | 3.2 | 0.0 | 3.2 | 7.2 | 0.0 | 7.2 |
| 06 02 03 | ობოლი ბავშვების, მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვის შეძენასთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები | 48.2 | 87.5 | 0.0 | 87.5 | 95.8 | 0.0 | 95.8 |
| | ხარჯები | 48.2 | 87.5 | 0.0 | 87.5 | 95.8 | 0.0 | 95.8 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 37.6 | 75.2 | 0.0 | 75.2 | 62.8 | 0.0 | 62.8 |
| | სხვა ხარჯები | 10.7 | 12.3 | 0.0 | 12.3 | 33.0 | 0.0 | 33.0 |
| 06 02 04 | ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯი | 0.5 | 0.5 | 0.0 | 0.5 | 0.5 | 0.0 | 0.5 |
| | ხარჯები | 0.5 | 0.5 | 0.0 | 0.5 | 0.5 | 0.0 | 0.5 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 0.5 | 0.5 | 0.0 | 0.5 | 0.5 | 0.0 | 0.5 |
| | სტიქიური უბედურების შედეგად | | | | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 06 02 05 | დაზარალებული ოჯახების სოციალური დაცვა | 110.6 | 19.0 | 0.0 | 19.0 | 75.6 | 0.0 | 75.6 |
| | ხარჯები | 110.6 | 19.0 | 0.0 | 19.0 | 75.6 | 0.0 | 75.6 |
| | საქონელი და მომსახურება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 1.5 | 0.0 | 1.5 |
| | სხვა ხარჯები | 110.6 | 19.0 | 0.0 | 19.0 | 74.1 | 0.0 | 74.1 |
| 06 02 06 | 9 და 26 მაისის, 8 მარტის, 17 ოქტომბერის და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებით ვეტერანთა ერთჯერადი დახმარება | 2.7 | 2.3 | 0.0 | 2.3 | 5.5 | 0.0 | 5.5 |
| | ხარჯები | 2.7 | 2.3 | 0.0 | 2.3 | 5.5 | 0.0 | 5.5 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 2.3 | 1.8 | 0.0 | 1.8 | 4.0 | 0.0 | 4.0 |
| | სხვა ხარჯები | 0.4 | 0.5 | 0.0 | 0.5 | 1.5 | 0.0 | 1.5 |
| 06 02 07 | არასაპენსიო ასაკის შშმ პირების, სამამულო ომის ვეტერანებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და ინვალიდთა ოჯახების სოციალური დახმარების ღონისძიებები | 1.7 | 1.3 | 0.0 | 1.3 | 2.0 | 0.0 | 2.0 |
| | ხარჯები | 1.7 | 1.3 | 0.0 | 1.3 | 2.0 | 0.0 | 2.0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 1.7 | 1.3 | 0.0 | 1.3 | 2.0 | 0.0 | 2.0 |
| 06 02 08 | ას წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ღონისძიებები | 3.2 | 2.1 | 0.0 | 2.1 | 4.3 | 0.0 | 4.3 |
| | ხარჯები | 3.2 | 2.1 | 0.0 | 2.1 | 4.3 | 0.0 | 4.3 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 3.2 | 2.1 | 0.0 | 2.1 | 4.3 | 0.0 | 4.3 |
| 06 02 09 | ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარება | 0.2 | 58.2 | 58.2 | 0.0 | 67.4 | 67.4 | 0.0 |
| | ხარჯები | 0.2 | 58.2 | 58.2 | 0.0 | 67.4 | 67.4 | 0.0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 0.2 | 53.0 | 53.0 | 0.0 | 60.8 | 60.8 | 0.0 |
| | სხვა ხარჯები | 0.0 | 5.2 | 5.2 | 0.0 | 6.6 | 6.6 | 0.0 |
| 06 02 10 | მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 3.0 | 0.0 | 3.0 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 3.0 | 0.0 | 3.0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 3.0 | 0.0 | 3.0 |

## თავი IV
## მარეგულირებელი ნორმები

**მუხლი 16**
ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების დაფინანსება გაგრძელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო (ელექტრონული) სისტემის მეშვეობით.

**მუხლი 17**
ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში განხორციელდეს დამტკიცებული წლიური ასიგნებების ფარგლებში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის და ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის თანახმად.

**მუხლი 18**
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში შექმნილი სარეზერვო ფონდი, გაიხარჯება მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

**მუხლი 19**
საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურმა მოამზადოს ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის კვარტალური განწერა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.

**მუხლი 20**
დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი მიიმართოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

**მუხლი 21**
მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.